



# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№327 (386) 4-11 აპრილი 2015

სახალხო მოძრაობა „სამებროს“ ორბანო

30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – ააქაი შენიძა

## ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ გაზეთ „ასავალ-დასავალს“

### საქართველოს ბოლო 20 წლის განმავლობაში 5-ჯერ მაინც ჰქონდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობა...

იბადება კითხვა – ვის უნდა შეხვედეს რუსეთის პრეზიდენტი? საქართველოს პრეზიდენტი ბუტაფორიული ფიგურაა, ცარიელი ფუტლარი, და რაზე შეიძლება მასთან მოლაპარაკება? ქვეყნის პრემიერ-მინისტრი დამოკიდებულია ბიძინა ივანიშვილის შეხედულებებსა და საქართველოს მომავლის მისეულ ხედვაზე. აქედან გამომდინარე, მასთან პუტინის შეხვედრა არ შეიძლება ეფექტიანი იყოს.

გვ. 2



## რატომ იჭურება აღმაშენებელი დასავლეთისაკენ?

დიდი მეფე, აღმაშენებელი დავით – დღედ მისი კულტისა არჩეულ იქმნება აგვისტოს 14: ამ დღეს იქცა იგი, 1121 წელს „ხელმწიფედ“. ამ სახელდების კარდუს გაგებით მოიგონებენ თანამემამულენი.

გვ. 5-9



მირიან ქართველი

## სვეტიცხოვლის ტაძრის „ქვათა ღაღადი“

გვ. 8

### სამებროს საისტორიო ბეობრაზია იაკობ რაინების სამობზაურო ჩანაწერებში და თანამედროვე ისტორიობრაზია

გვ. 6

### იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილს, ახალაიას, მერაბიშვილს და სხვა „კეთილ აღამიანებსაც“ შეიწყალებს – ირაკლი ღარიბაშვილი

გვ. 7

## ორი მკვლელობის ერთი საიდუმლო



## როგორ სჯიდნენ ძველ საქართველოში

გვ. 10



გვ. 11



# საქართველოს ბოლო 20 წლის განმავლობაში 5-ჯერ მაინც ჰქონდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ საკითხი...

2015 წლის 28 ივლისი, საქინფორმი. ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი **ალექსანდრე ზაპრაძე** უახლოეს მომავალში რუსეთსა და საქართველოს შორის ვითარების დათბობას არ ელის და მიიჩნევს, რომ სიტუაცია მაშინ გაუმჯობესდება, როცა ქვეყანა უარს იტყვის ოცდახუთი წლის წინათ შევარდნაძის მიერ ნაკურთხ დამღუპველ საშინაო, საგარეო და ბიზნესპოლიტიკაზე!

**– ბატონო ალექსანდრე, რა შემთხვევაში შეიძლება გამართოს რუსეთ-საქართველოს შორის უმძაფრესი დონის მოლაპარაკება და ვისი მიზეზით ან რატომ არ იმართება ეს შეხვედრა?**

– უმაღლესი დონის შეხვედრა ყველაზე წარმომადგენლობითი და ეფექტიანი მოლაპარაკებაა სახელმწიფოთა შორის. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა – ვის უნდა შეხვედეს რუსეთის პრეზიდენტი? საქართველოს პრეზიდენტი ბუტაფორიული ფიგურაა, ცარიელი ფურცელი, და რაზე შეიძლება მასთან მოლაპარაკება? ქვეყნის პრემიერ-მინისტრი დამოკიდებულია ბიძინა ივანიშვილის შეხედულებებსა და საქართველოს მომავლის მისეულ ხედვაზე. აქედან გამომდინარე, მასთან პუტინის შეხვედრა არ შეიძლება ეფექტიანი იყოს. თვით ივანიშვილი კი მილიარდერი საზოგადო მოღვაწეა, როგორც მსოფლიოში ათაბოლანო არიან, და არც მასთან ექნება პუტინის შეხვედრას აზრი. რუსეთის პრეზიდენტმა, ასე ვთქვათ, ზრდილობის გულისთვის ერთხელ უპასუხა ჟურნალისტს, რომ შეხვედრის წინააღმდეგ არ არის, მაგრამ ცხადია, რომ ასეთი შეხვედრისთვის შესაბამისი პარტნიორი საქართველოში არ არსებობს, ხოლო სიმბოლური შეხვედრა შეხვედრისთვის არავის სჭირდება. ამიტომ გრძელდება უკვე მრავალწლიანი პრაქტიკა, როდესაც საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებს რუსეთი ამერიკასთან მოლაპარაკებისას წყვეტს. თუ განხილავთ სერიოზული პრობლემა – ლავროვი დაელოპარაკება კერის და გადაჭრის ამ პრობლემას! მოგესხენებათ, საქართველოს საგარეო პოლიტიკა ვაშინგტონის კომპეტენციაშია, ამდენად, საუბარს თბილისში იმ პირთან, რომელიც ვადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ იღებს, აზრი არ აქვს!

**– საქართველო ყოველმხრივ უმძიმეს სიტუაციაშია... თქვენი აზრით, რა შეაჩერებს მცოცავ ოკუპაციას?**

– სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიწყო და წავიკო ომი. ჩვენ დღეს ომზეა დასრულებული მხარე ვართ. თუ ავსახებთან ბუნებრივი საზღვარი გვეყოფს მდინარის სახით, ოსებთან ასეთი საზღვარი არ არსებობს, ამიტომ აქ ორმავე სიფრთხილე გემართება. ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო თანამეგობრობის და საერთაშორისო სამართლით აპელირება, ე.წ. ხისტი განცხადებები სულელური პიარია და მეტი არაფერი. უკანასკნელი 25 წლის პრაქტიკამ ვერა და ვერ გვასწავლა ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ძლიერი ყოველთვის მართალია და მასთან საერთო ენის გამონახვაა საჭირო. ქართველებმა დღემდე მხოლოდ იმიტომ შენარჩუნდა, რომ პერიოდულად ქართულ სამეფოებში ჩნდებოდნენ ხელმწიფეები, რომლებიც ძლიერებთან საერთო ენას პოულობდნენ და ამით უზრუნველყოფდნენ ქართველთა არსებობის უფლებას.

**– რა მიზანს ემსახურება ბოლო დროს ქართულ ტელევიზიებში შევარდნაძისადმი გახშირებული დიტირამები?**

– საქმე ისაა, რომ სწორედ შევარდნაძემ ჩამოაყალიბა საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელსაც დღემდე მიჰყვება საქართველო. ქვეყნის ეკონომიკური მოდელიც კი შევარდნაძის დროსაა შექმნილი. ამიტომ შევარდნაძის პოლიტიკის უარყოფა ნიშნავს საქართველოს უკანასკნელი ოცდახუთწლიანი პოლიტიკის უარყოფას. ამერიკელები სააკაშვილსაც საყვედურობდნენ ანტიშევარდნაძისტული გამოხდომების გამო; ამიტომ შევარდნაძის პოლიტიკის გამართლება ხელისუფლების პოლიტიკური კურსის ერთგვარ ლეგიტიმაციას წარმოადგენს.

**– ბატონო ალექსანდრე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რა შანსი აქვს საქართველოს და რა შემთხვევაში?**

– საქართველოს ბოლო 20 წლის გან-

მავლობაში ხუთჯერ მაინც ჰქონდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ საკითხი, მაგრამ არც ერთხელ არ უსარგებლია ამ შანსით, ქვეყნის მთლიანობის აღდგენა ღამაზ წინასაარჩევნო ღონისძიებებზე იქცა. ხანდახან რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს თემა მხოლოდ ღონისძიების სტილით უნდა მოხდეს. “ნატო-ნატოს” ძახილით, რამ მოგვცემს საშუალებას, უშუალოდ გავიდეთ კონფლიქტის ყველა მონაწილეზე და დამოუკიდებლად მივიღოთ საჭირო გადაწყვეტილებები. დღეს და უახლოეს მომავალშიც ეს შეუძლებელია!

**– როგორ ფიქრობთ, რა შეცდომა დაუშვა ზვიად გამსახურდიამ?**

– თუ ძალაუფლების დაკარგვას ვგულისხმობთ, მაშინ მისი შეცდომა იყო, რომ უარი თქვა იმ პოლიტიკაზე, რომელიც შემდგომ შევარდნაძემ ჩამოაყალიბა და დამაკვიდრა. “ნატო-ნატოს” ძახილით გამსახურდიას შეეძლო ხელისუფლებაში დარჩენა, მაგრამ რამდენად შეიძლება შეცდომა ვუწოდოთ რწმენას, მრწამსს, იდეალებსა და პარტიოტიზმს? ზვიად გამსახურდიამ იმ პერიოდში ვერაზიულ სიერცემში ერთადერთი ლიდერი იყო, რომელმაც არა მხოლოდ ნათლად დაინახა, თუ რა სატანისტური ტალღა მოდიოდა დასავლეთიდან, არამედ დაუპირისპირდა კიდევ მის დამანგრეველ ძალას უმძლავრესი შეერთებული შტატები და დასავლეთის მორჩილი მაშინდელი რუსეთის ხელისუფლება წარმოადგენდნენ! ზვიადის, როგორც პოლიტიკური ლიდერის, ტრაგედია იყო ის, რომ ალტერნატიული ძალა, რომელზეც ამ ანტისატანურ ბრძოლაში დაყრდნობას შეიძლებოდა, მაშინ არ არსებობდა, მარტო კი მას ვერ მოეროდა.

**– რა იყო შევარდნაძის მთავარი შეცდომა?**

– შევარდნაძის დანაშაულებრივი შეცდომა იყო საქართველოს ამერიკის კოლონიად გადაქცევა, რომელმაც განაპირობა საგარეო პოლიტიკაში აბსოლუტური მორჩილება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დამანგრეველი რეკომენდაციების შესრულება და ეროვნული ეკონომიკის მოსობა; დასავლური ე.წ. ღირებულებების გავრცელებამ სულიერი გახრწანა და ტრადიციული ზნეობის დაცემა მოიტანა. ერთს წინაშე დანაშაული იყო ისიც, რომ მან სრული, შეუზღუდავი უფლება მისცა ამერიკელებს, ჩამოეყალიბებინათ საქართველოში პოლიტიკური ძალების ემულიონირებული ქსელი, ძალების, რომლებიც გატყდა ოფიციალური დახმარების მეშვეობით პერიოდულად ანაცვლებენ ერთმანეთს ხელისუფლებაში. ამით მან საქართველოს ხაფანგიდან თავის დაღწევის შესაძლებლობა მოუსპო.

**– რაში შეცდა რუსეთი?**

– რუსეთმა დიდი, გლობალური შეცდომა დაუშვა მაშინ, როდესაც დასავლეთთან ე.წ. ინტეგრაციის კურსზე დათანხმდა, ანუ გახდა აშშ-ის მორჩილი ეკოპოლიტიკური ობიექტი. ამ თვალსაზრისით ელცინის ათწლიანი მმართველობა ერთი დიდი შეცდომა იყო რუსეთის ისტორიაში, ისევე, როგორც ხრუშჩოვის ათწლიანი მმართველობა იყო ტრაგიკული შეცდომა სსრკ-ის ისტორიაში. ყველა ტრაგიკული მოვლენა – ეკონომიკური ნგრევა, სულიერი დაცემა, რომელიც 90-იან წლებში მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში, მოხდა, იყო რუსეთის დამოუკიდებელი პოლიტიკისა და რუსეთის პოლიტიკური ელიტის დამოუკიდებელი აზროვნების არარსებობის შედეგი!

უნდა ვითხრათ, რომ პირველ საპრეზიდენტო ვადაში პუტინიც დასავლეთთან ინტეგრაციის მომხრე იყო. მას სჯეროდა, რომ კეთილი ნების გამოსატანად, ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური ურთიერთობა, კულტურული დაახლოება, საერთო ქრისტიანული და სულიერი ღირებულებები უზრუნველყოფდა ინტეგრაციას და შეიქმნებოდა ერთიანი უსაფრთხო სივრცე. იმ პერიოდში რუსეთი აბსოლუტურად გაუმართლებელ სამხედრო-სტრატეგიულ დათმობებზეც კი წავიდა. მარტო ვიეტნამიდან და კუბიდან სამხედრო ბაზების გამოყვანა

და შეიარაღების დარგში დადებული წამყვანი ხელშეკრულებები რად ღირს... მაგრამ დასავლეთი სულ ახალ და ახალ დათმობებს ითხოვდა, თვითონ კი სამხედრო თვალსაზრისით ძლიერდებოდა და არადავლებდა რუსეთის არც ეკოპოლიტიკურ, არც ეკონომიკურ და არც კულტურულ-ზნეობრივ ინტერესებს. როდესაც საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით რუსეთის დაშლა და მისი რესურსების დასავლეთის ხელში გადაცემა დადგა დღის წესრიგში, პუტინმა დასავლეთისთვის მოულოდნელად მკვეთრად შეცვალა პოზიცია. მეორე საპრეზიდენტო ვადის დროს ეს უკვე სხვა პუტინი იყო. დღეს იგი ცდილობს, მაქსიმალურად გააძლიეროს რუსეთი, განავითაროს საკუთარი ეკონომიკა, არ დაუშვას საშინაო საქმეებში უცხო ძალების ჩარევა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, შეინარჩუნოს და განავითაროს რუსეთის ეროვნულ-კულტურული თავისებურება – მართლმადიდებლობაზე დაყრდნობით ისტორიულად ჩამოყალიბებული სულიერ-ზნეობრივი ღირებულებები! ანუ პუტინი ცდილობს, შექმნას მსოფლიო ალტერნატიული ძალა, რომელიც წინ აღუდგება ამერიკელთა გლობალიზაციის პროექტს – ერების დენაციფიკაციას, ტრადიციული ზნეობის, რელიგიური მრწამსისა და ეროვნული თვითშეგნების განადგურებას. ამიტომაც იზრდება მისი რეიტინგი მსოფლიოში, განსაკუთრებით – ამერიკის სატელევიზიო ქვეყნებში, რომელთა მმართველი კლასი უსიტყვოდ ასრულებს ამერიკელთა მიზნებს და საკუთარ მოსახლეობას უფრთხვობს, უხნეო, უსქესო ბიოლოგიურ მასად აქცევს.

**– როგორ ხედავთ ბიძინა ივანიშვილისა და ამ ხელისუფლების პოლიტიკურ მომავალს?**

– უბედურება ისაა, რომ საქართველოში მეფობს ერთი ძირითადი იდეოლოგიური კონცეფცია – დასავლეთის მოთხოვნათა უპირობო შესრულება! “ნაციონალური მოძრაობა”, “ქართული ოცნება”, “თავისუფალი დემოკრატები”, რესპუბლიკური პარტია და სხვები ამ “კონცეფციის” მიმდევრები არიან. იდეოლოგიური სხვაობა მათ შორის არ არსებობს, ისინი არც კი ცდილობენ, საქართველო შედარებით მაინც დამოუკიდებელ ქვეყნად აქციონ და კოლონიური დამოკიდებულებიდან გამოიყვანონ, ამიტომ საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი იქნება ქვეყნის სათავეში, რა გვარის იქნება ქვეყნის მმართველი... ამ იდეოლოგიური კონცეფციის ალტერნატივა კი ჯერჯერობით არ ჩანს!

დღეს მოსახლეობის უმეცობეობა იზრდება, ივანიშვილსა და მის გუნდს ადანაშაულებენ წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობაში. ხალხის უმეცობეობა სამართლიანია, მაგრამ, მოდი, გულწრფელები ვიყოთ: ნუთუ ვინმეს ეგონა, რომ ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირებები შესრულდებოდა? ნუთუ ვინმეს ეგონა, რომ ორ წელიწადში ავსახებთან დავიბრუნებდით, საქართველოს დუბაით გადავაქცევდით, მეორე წელს უკეთესად ვიცხოვრებდით, მესამე წელს – უფრო უკეთესად, ხოლო მეოთხე წელს – საუკეთესოდ?! ამის იმედით ვინ აძლევდა ივანიშვილს ხმას? ხმას მას აძლევდნენ იმის იმედით, რომ სააკაშვილის დანაშაულებრივ იმედებს მოგვაშორებდა! ეგ იყო და ეგ. საზოგადოებას სხვა მიხნები რომ ჰქონოდა, მაშინვე ჰკითხავდა ივანიშვილს – რა ხერხით, რა რესურსებით, როგორი საგარეო პოლიტიკით, როგორი ეკონომიკური მოდელებით დაწერდით აპირებდა იგი ამ დაპირებების შესრულებას? ეს ხომ არავის უკითხავს?

მომავალ არჩევნებში ივანიშვილს ჯერ კიდევ აქვს შანსი, კოალიცია პარლამენტში გაიყვანოს. ბუნებრივია, ეს კოალიცია კონვიგურაციას შეიცვლის... ალბათ, თვითონ ჩაუდგება სიას სათავეში და ივანიშვილის “პოლიტიკაში დაბრუნება” საზოგადოებისთვის წარმონედილი იქნება, როგორც დიდი ბედნიერება და მომავალი წარმატებების გარანტია. სერიოზული ალტერნატივის არარსებობის პირობებში, წარმატება გარდაუვალია.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება მაშინ, როდესაც ამერიკელები ახალ ძალას

მომამზადებენ და, როგორც კი ხელისუფლების ავტორიტეტი მკვეთრად დაეცემა, უზრუნველყოფენ ძალაუფლების გადაცემას ამ ახალი ძალისთვის. იცოდეთ, რომ ის ახალი ძალაც იმავე დაპირებებით მოვა ხელისუფლებაში, რა დაპირებებთაც ივანიშვილი, სააკაშვილი და შევარდნაძე მოვიდნენ. ჯერჯერობით ამერიკელები ხელისუფლების შეცვლისთვის მზად არ არიან, ვინაიდან ეს ხელისუფლება საამისო მიზეზებს არ იძლევა.

**– ბატონო ალექსანდრე, ერთნაირსკესონათა ქორწინებისადმი დარბობის შეიღწევა უარყოფითი პოზიცია ამერიკელებისთვის განა საკმარისი მიზეზი არ არის? საერთოდ, რა ეშველება პედერასტია შემოტევას?**

– პედერასტია თანამედროვე ევრო-ამერიკული კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა. მისი გავრცელებისა და დაკანონებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ქვეყნის პოლიტიკური ელიტისა და მოსახლეობისგან გმირულ ძალისხმევას მოითხოვს. ეს პრინციპული საკითხია. ზოგს უკვირს, თუ რატომ ითხოვენ ამერიკელები პედერასტიის დაკანონებას მაშინ, როდესაც ეს ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოების დიდ ნაწილში ამერიკისადმი ანტიპათია იწვევს. საქმე ისაა, რომ პედერასტიის დაკანონება სპობს იმ საძირკვლებს, რომლებზეც დგანან თანამედროვე ერები, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენები, ანუ პედერასტია ანგრევს რელიგიურ მრწამსს, ტრადიციულ ზნეობას, ოჯახურ მორალს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ სულიერ ღირებულებებს, ეროვნულ წესჩვეულებებს და ამით ერს ადვილად სამართავ ბრბოდ აქცევს. დარბობის შეიღწევა ქართულ ოჯახში გაზრდილი კაცია და მისთვის პედერასტიის ქორწინების დაკანონება საქართველოზე უარს თქმის ტოლფასია!

ირაკლი დარბობაშვილს არ ვიცნობ, მაგრამ მგონია, რომ მას არ სურს, ქართველობის მოსპობის დანაშაულებრივ პროცესში შევარდნაძისა და სააკაშვილის გვართან ერთად მისი გვარიც ფიგურირებდეს! თუქცა არ გამოვიჩინებ, რომ მას მოუწიოს არჩევანის გაკეთება გადადგომასა და ამ უზნეობის დაკანონებას შორის.

მთავარია, საზოგადოებამ აქტიურად დაუჭიროს მხარი პრემიერის ამ ეროვნულ პოზიციას. ვიმეორებ: საქმე წერილმანს კი არ ეხება, ამის უკან ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას! ასეთ მომენტებში ერმა უნდა დაიცვას პოლიტიკური ლიდერი, მიუხედავად იმისა, თუ რა პრეტენზიები აქვს მის მიმართ დაგროვილი.

თქვენ გახსოვთ, რომ მე ყველანაირად მხარს ვუჭერდი ახლან აბაშიძეს. ზოგი რამ არ მომწონდა მის საქმიანობაში, მაგრამ ჩემთვის ერთ ფაქტორს ჰქონდა უპირველესი მნიშვნელობა – მან არ დაუშვა მიწის არც ერთი კვადრატული მეტრის გაყიდვა უცხოელებზე! ერთხელ, მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ასლამმა გულდაწყვეტილმა მითხრა: “ხომ არ მივატოვო ყველაფერი და ხომ არ წავიდე იტალიაში შეიღწევილბთან საცხოვრებლად?” მე ვუპასუხე: “ნება შენია, მაგრამ მაგულის წლისთავზე რომ ჩამოხვალ, აჭარა გაყიდული დაგხვდება-მეთქი”. ასეც მოხდა სააკაშვილის მიერ აჭარის “დაბრუნების” შემდეგ... ქართული მიწა და ქართველი ერი მისი ტრადიციული ზნეობით – ეს არის საქართველო.

**– რა ელის სააკაშვილს?**

– სააკაშვილი ზის ამერიკელების მჭიდში და მას იქ იყენებენ, სადაც სჭირდებათ. საქართველოში მისი დაბრუნება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, ამიტომ გადაწყვიტეს მისი და მისი გუნდის გამოყენება იქ, სადაც ამერიკელებს კადრები უჭირთ – უკრაინაში. ოდესის ოლქი მდიდარია თავისი პოტენციალითა და შესაძლებლობებით, იქ ძალიან ბევრია გასაყიდი, მათ შორის ისეთი ობიექტებიც, რომლებიც ამერიკელებს აინტერესებთ. უკრაინელის ხელით ძნელია ამის გაკეთება, მაგრამ ცნობილი “რეფორმატორის” რეფორმისტული საქმიანობის ფარგლებში ყველაფერია შესაძლებელი. ერთ ელის სააკაშვილის ოდესის შემდეგ, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ოდესელები დიდხანს დაწყველიან სააკაშვილსაც და ქართველებსაც!



რუსეთში გასატანი ქართული ღვინო, ბორჯომი, ლიმონათი და ხილი საზღვარზე შეფერხებულია

ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ავტორიტეტით დაიწყო...

მართალია რუსეთთან ზურგით ვდგავართ, მაგრამ საფაქტო ურთიერთობებში...

საუბარია იმაზე, რომ გულაური-კობის მონაკვეთზე ასობით სატვირთო ავტომობილი...

მათი ინფორმაციით, სატვირთო ავტომობილებში, რომლებიც ისინი იძვრებოდნენ...

რაც შეეხება მიზეზს, მძღოლების თქმით, საპატრულო პოლიცია მათთან საუბარში...

ეთის მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიიდან ქართული პროდუქტი...

სატვირთო ავტომობილები განჩერებულიები არიან დუშეთიდან რამდენიმე კილომეტრის სიგრძეზე...

შემოსავლების სამსახურის განცხადებით, ტრაილერებს საბაჟოზე გასვლის პრობლემა რუსული მხრიდან შეექმნათ...

“პრობლემა მომდინარეობს არა ქართული, არამედ რუსული მხრიდან. გაზრდილია ნაკადი, განსაკუთრებით სომხური ტრანზიტის ხარჯზე...”

ვერ გამოვიდა, რა გვინდა რუსეთისაგან,

რომელიც საშუალებას გვაძლევს მის ქვეყანაში გავიტანოთ პროდუქცია, რაც დიდი შედეგია ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ბიუჯეტისათვის?

ამავე დროს, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება მკითხველებს გავაცნოთ რიგით მოქალაქეთა კომენტარები ამ ინტერნეტ-ინფორმაციაზე.

“ჯობია იმას მიხედონ, რომ ქართველები, რომლებიც რუსეთიდან მანქანიდან გადმოდიან, ლარსიდან ჩამოაქვთ ნარკოტიკები და მერე წამლავენ აქ ახალგაზრდებს...”

“ერთ რამ ვერაფრით გამიგია. რატომ უნდა შეუწყოს რუსეთმა ხელი ქვეყანას, რომელიც ასე თავდავიწყებით მიისწრაფის ნატოში და ყოველ ნაბიჯზე რუსეთის აგრესიის საფრთხეზე ყვირის...”

გაუნათლებელი ბლემი

საით მივდივართ და რა გვინდა?! ვის ვაზიანებთ და რატომ?!

„თურაშაულის პატრონი, ტყეში ეპებდა პანტასა“! ხალხური

ამ წერილის დაწერა განაპირობა, ამას წინადატენი გოგი თოფაძის მიერ გაკეთებულია დროულმა განცხადებამ, ე.წ. ნატოს შესახებ, სადაც იგი სამართლიანად აღნიშნავს...

დონზე! გაანადგურეს განათლება, ჯანმრთელობა! ორ შაურად გაყიდეს ხალხის კუთვნილი ქონება!

2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად, საქართველომ, ბიძინა ივანიშვილის თანადგომითა და მხარდაჭერით...

ბატონო ბიძინა, მადლი რომ ჰქვნიოთ, ბარემ მარილიც მოაყარეთ, და გაგვანთავისუფლეთ ამ მეტასტაზებისაგან!

ელმწიფო ესწრაფვის! არაფერში გვარგია „ნაციონალები“ ფეხის ხმაზე აყოლა! კარგად დაეინახეთ მათი „ნაღვაწი“!

დაგვიანებული წიგნები! მიმართვა საგარეო სამსახურსა და ემბრელოსადმი!

„...დღეს საქართველო ითმენს ნარ-ეკალს, ხვალ საქართველო ამით გარეკავს!“

მოგმართავთ პირადად თქვენ ქუჯის, გიორგი ჭყონდიდელის, ცოტნე დადიანის, ამბროსი აღმსარებლის (ხელაია), მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას და

მრავალთა შესანიშნავთა მამულიშვილთა შთამომავლებს!

გვახსოვდეს, რომ, 2012 წლის პირველ ოქტომბერს დაიბადა ახალი საქართველო! ჩემო ძვირფასებო, ყველამ უკლებლივ, სრულიად საქართველოსთან ერთად, ჩვენი ღმრთის წილი ჩადეთ ამ საშვილიშვილოდ პრინციპულ საქმეში!

ორი დაღუპული მებრძოლის მამა ანზორ დანელია

პ.ს. პატივცემულ საზოგადოება! ვინც იხილეთ 2012 წლის 18 სექტემბერს „მაესტრო“-ზე გასული სიუჟეტები, პატივების უკიდურესად, არაადამიანური წამების ფაქტების შესახებ, რამაც კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა „ნაციონალური“ რეალური სახე!



1. ნატო-ში; 2. ევროკავშირში; 3. ევრაზიულ კავშირში. დაივიწყეთ ურთიერთობების დალაგება ყველა მეზობელთან!

ილია ჭავჭავაძე თანამედროვე უღირსობა და უეროვნება ჩინოვნიკებში

ქართული ისტორიული მესხიერებიდან და დღევანდელი სინამდვილიდან, რა დირე-ბულიებითი წინამძღვრება საძირკვეთ, რაც მომავალში ქვეყნის წარმატების საფუძველი იქნება? ერთად ვიფიქროთ! (ფიქრიც დირე-ბულიება – პროლეტს ქმნის)!

ევროკავშირში ასოციაციის და თავად ევროკავშირში, აბსოლუტურ ღირებულებას არ წარმოადგენს, რომ საყოველთაო ბედ-ნიერება თავისთავად მოგვიტანოს. ევროპულ ასპარეზზე ჩვენი წარმატება, მატერი-ალურ ფასეულობათან შედარებით, უპირატესად არამატერიალური კატეგორიებით მიიღწევა, კერძოდ – სოლიდარული, ტოლ-ერობრივი საზოგადოების შექმნით, მაღალი პასუხისმგებლობით, ეროვნული მესხიერების შენარჩუნებით და მისი უწყვეტობის განცდით, და როგორც შედეგი – ქართველთა საუკეთესო „ქინაგან“ ფასეუ-ლობათა აღორძინებით და ქართული სახ-ელმწიფოს ახალი თაობის მშენებელთა შექმნით.

ე.ი. ჩვენი მოლოდინი თუ აქტიურობა მხოლოდ პოლიტიკური, ეკონომიკური, ან სოციალური პრობლემებით არ უნდა შემოიფარგლოს. დირეგულირება არქვენი, მთავარი ღირებულებები (შესაძლებლობები) უნდა ვეძებოთ. მათ შორისაა: ფიქრი უკეთეს მომავალზე, თავისუფალ ქვეყანაზე; ძალისხმევა და ორიენტაცია საზოგადო სიკეთეებზე, მოქალაქეთა ღირსეულ სიც-ოცნებებზე; ზრუნვა მომავალ თაობათა მენტალურ და მორალურ სიჯანსაღეზე – ესაა ადამიანური ყოფის ძირითადი დირე-ბულირები ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერ საერთაშორისო კავშირში თუ გეოპოლი-ტიკურ არჩევანში.

ჩვენი წინაპრები უახლესი ისტორიიდან, შეზღუდული შესაძლებლობების პირობებ-შიც კი, სწორედ ამ კატეგორიებით ხელმძღ-ვანელობდნენ და ასე ქმნიდნენ საქართვე-ლოს ისტორიას.

აღნიშნული საილუსტრაციოდ, ეკონომიკის ერთ-ერთ სფეროში – საქართველოში საბანკო-საფინანსო საქმის სათავეებთან გეპატივებოდა...

საქართველოში საბანკო-საფინანსო სის-ტემის საფუძვლების შექმნა ილია ჭავჭავაძის და დიმიტრი ყიფიანის ეპოქას, მათ სახელს უკავშირდება. XIX საუკუნის მუდრე ნახევარი ის გამოხატვის პერიოდი იყო, როცა დამოუკიდებლობადაკრულ საქართველოში, საკუთარი ფულის ნიშნების არარსებობის პირობებშიც კი, პირველი ქართული ბანკი მრავალი წლის გან-მავლობაში ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ეკონომიკურ (და ხეო-ბრივ) საფუძვლებს ქმნიდა.

ფეოდალური არისტოკრატია საადგ-

ილმამულო ბანკის დღეის დასამარებას ცდილობდა, თურგადლეულები კი მხურ-ვალედ იცავდნენ ამ იდეას. 1864 წელს ჩასახულ იქნა II წელი დასჭირდა, რომ საქმედ ქვეყლიყო.

იდეა საზოგადოებრივი (სააქციო) ბანკის შექმნას ითვალისწინებდა, რათა მოსახლეო-ბის ყველა კატეგორიას, მათ შორის გლეხებსაც, პქონოდა კრედიტის გახსნის შესაძლებლობა. ბანკი დემოკრატიულ პრინციპებზე ორგანიზებული, მოგებაზე ორიენტირებული და ამ მოგებით საერ-ო-საზოგადოებრივი განვითარების ხელშეწყობი არასახელმწიფო, კომერცი-ული დაწესებულება უნდა ყოფილიყო.

შეგანაოთ ეს მისი დღევანდელ ქართუ-ელ ბანკირთა (მთლიანად, ქართული სა-ბანკო სისტემის) მომხვეჭელურ, მტაცე-ბლურ, ადამიანთა უბედურებაზე დაფუძნე-ბულ და უსახდრო გამდიდრებაზე ორიენ-ტირებულ საქმიანობის წესს. თუმცა, სჯობს, ისევ წარსულს დაუბრუნდეთ...

დიმიტრი ყიფიანის ოპტიმიზმი და ენ-თუხიანობა უსახდრო იყო. მან საგანგებოდ შეისწავლა იმპერიის სხვა კერძო ბანკების წესდებოთა საფუძვლები, რუსული და უცხ-ოური ლიტერატურა და ჩამოაყალიბა „ქარ-თული“ ბანკის ძირითადი დებულებები, რაც ადგილობრივ თავისებურებებს და ინტერესებს მიესადაგებოდა.

შემდგომ, 1870 წლიდან, გააქტიურდნენ ქართველი სამოციანელები. მათი მიზანი იყო ქართული საადგილმამულო ბანკი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაო-ბის სამსახურში ჩაყენებისათ და ამ საქმისათვის ილია ჭავჭავაძეს ეხელმძღ-ვანება.

თავისი პირადი სარგებლობის უმადლეს და არ გამოთბად საზოგადოების სიკეთის სიყვარულითა...“ (ილიას სიტყვა, ვახ. „დროება“, 1872 წ., 47). საზოგადო სიკეთის დაქვედრება, თავის მხრივ, საფუძველი უნდა ყოფილიყო, რომ შემდგომ აღარ ყოფილიყვნენ „ასეთი კაცი“.

აქ, კიდევ ერთხელ შევხვდეთ, და დღევანდელი პარლამენტარები და „ასეთი კაცი“ გავისხნოთ, ვისაც ქართველმა ამომრჩეველმა, სანუგეშოდ და საიმედოდ, უკვე მერამდენედ, სმა მისცა არჩევნებში, რათა ეს „რჩეულნი“ ამალეებულყვნენ „თავისი პირადი სარგებლობის უმადლეს“ და გამოთბადი „საზოგადოების სიკეთის სიყვარულით“.

ამისათვის კი ეს ე.წ. „რჩეულნი“, უბრალოდ, ზნეობრივი კაცები უნდა იყვნენ და არა უხნოები. აქაც, ძვირფასო მქ-ითხველო, დიდხანს ნუ დაეყოვნდებით და ისევ სამაგალითო წარსულს და ამ მხრივ, მართლაც საამაყო კაცებს დაუბრუნდეთ, ვინც ჩვენს საამაყო ისტორიას ქმნიდა...

პროექტი დასამტკიცებლად პეტერ-ბურგში გაიშავა. პროცესის დასაქარე-ბლად და საბანკო საქმის შესასწავლად, 1873 წელს ილია სახელმწიფო სამსახური-დან გადადგა და რუსეთში გაემგზავრა. ბოლოს, როგორც იქნა, 1874 წლის 28 მაისს დამტკიცდა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წესდება, რომელიც გახდა „დროებაში“ დაიბეჭდა. ასე დას-რულდა პირველი ქართული ბანკის დაარსე-ბის მრავალწლიანი, პერიპეტეებით აღსავსე ეპოპეა. 1876 წლის 1 მაისს გაიხსნა ქუთაი-სის საადგილმამულო ბანკიც.

მოგვიანებით, სპეციალურად თბილისის საადგილმამულო ბანკისთვის, აიკო მონუ-მენტური შენობა. მისი მშენებლობა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით 1902 წელს დაიწყო და 1913 წელს დამთავრდა. ამჟამად, იქ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა განთავსებულია.

ამგვარად, დასრულდა ილია ჭავჭავაძის მრავალწლიანი საბანკო სფეროში, რომელიც მთელი 30 წელი გრძელდებოდა – 1875-1905 წწ.

ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებათა ნუსხა, რომელთა რეალიზაციისთვის ფი-ნანსური მხარდაჭერა უშუალოდ უკავშირე-ბა თბილისის საადგილმამულო ბანკს, საკმაოდ ფართოა.

- ამ ნუსხაში გამოსაყოფია: 1. ბანკის მოღვაწეობა განათლების სფეროში და ეროვნული კადრების მომზადების მხარდასაჭერად, რაც მუფის მთავრობის რუსიფიკატორულ პოლიტიკას უნდა დაპირისპირებოდა. 2. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-

გადოების დაარსება და ორგანიზაციულად წამოყალიბება, რაც ბანკის მხარდაჭერის ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილებოდა.

3. კახეთის რკინიგზის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების წარმოწყობა და ფინანსურ-იდეოლოგიური უზრუნველყ-ოფა.

4. ქართული თეატრის განვითარე-ბისთვის ზრუნვა, რაც ეროვნულ-განმათავი-სუფლებელი მოძრაობის საწრთველ სკო-ლად განიხილებოდა.

იმ პერიოდში, ქართული ბანკების საქმი-ანობის მთელ ისტორიას, ლიტერატურად გასდევდა ფიქრი, ზრუნვა და განსჯა მო-მავალზე, ახალ საქართველოზე. პრაქტიკუ-ლად, ბანკი საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ფუნქციას ითავსებდა!!!

მკითხველო, ძალიან მინდა, ის არაფორ-მალური „პარლამენტი“ და „მთავრობა“, სულსკვეთებით, დღევანდელს – ლეგიტი-მურ, ფორმალურ ხელისუფლებას შე-ვადარო, მაგრამ ვერ ვახერხებ. ახალი თაობის „მამულიშვილთა“ ძიებაში ხელს მიშლის დღევანდელი რეალობა – სულიერებისგან და ეროვნულობისგან და-ცლილი, ხელისუფლების ამქარს მიტმას-ნილი სუბიექტების დაუოკებელი ამბიციები, მედროვე ჩინოვნიკური სული და მათი მომხვეჭელური ბუნება!!!!

აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის სიტყვა თბილისის საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 1895 წლის 20 მაისს. ეს სიტყვა ილიას შემოქმედების ყველა კლასიკურ გამოცემაშია შეტანილი.

დაბოლოს, მინდა ვთქვა, რომ ამ თემზე დიდი სიამოვნებით ვიმუშაობდი. ზნეობის გაკეთილებითაა აქ მოყვანილი ფაქტები. ბანკის დაფუძნების იდეა და საქმე, ერთი დიდი პოემასავითაა – ადამიანთა სიყ-ვარულის, მათზე ზრუნვის პოემა... ამას ღირსეული კაცები აკეთებდნენ, უბრალოდ, უხმაურად, და ყოველივეს ჩვეულებრივ, კაცურ მოვალეობად თვლიდნენ.

ესხლა? პირდაპირ თავს გვაჭამენ მოპოლი-ტიკოსო არსებები, თავი კაცები რომ ჰქო-ნიათ, და ქვეყანას „მართავენ“, პარტიებს ქმნიან და ეს საქმე ბიზნესად უქცევათ. არც ეროვნულად მოაზროვნე და არც ღირსებაშენარჩუნებელი ქართულ პოლი-ტიკაში თითქმის აღარ მეგულება. ხოლო, აქ მოხვედრილი ნებისმიერი წესიერი კაცი, სულ მალე უწესო ხდება.

მკითხველო – ჩემო ახალგაზრდა მეგო-ბარო, ჩაიბარე ქვეყანა და... გაავრცელე საქართველოს ღირსეული ისტორია!

ნუპრი მიხანაშვილი

თამარ კიკნაძე: “ნაციონალებმა” მიიღეს დირექტივა, რათა სიტუაცია არიონ

გასული კვირა პოლიტიკურად ძალიან დაძაბული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საზღვრისპირა სოფლებში ვითარება არ გამძაფრებულა, ხელისუფლებას ბრძო-ლა, როგორც პოლიტოლოგები უწოდებენ, დესტრუქციულ ძალასთან – “ნაციონალე-ბთან” უწევდა. ხალხისა და ოპოზიციის დასაშოშინებლად პრემიერმა დარბაზში-ღმა რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ საქართველო წართმეულ ტერიტორიებს დაიბრუნებს. მანამდე კი ამ საკითხზე თავდაცვის მინისტრმაც იხაზებდა. რა უდევს საფუძვლად ხელისუფლების წარმომად-გენელთა ამ განცხადებებს? რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას აპირებენ თუ რუსეთის შესუსტებასა და დამხობას ელოდებიან? საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე, ტრადიციულად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფე-სორი, ქალბატონი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.

– ქალბატონო თამარ, სოფელ ხურ-ვალეთში განვითარებულ მოვლენებზე ყვე-ლას სხვადასხვა ვერსია აქვს...

– მართალია, სხვადასხვანაირი ინფორ-მაცია ვრცელდება. ოფიციალური ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ ბანერი გადმოწეულია, ზოგი ამბობს, რომ – არა. ფაქტია, ამ ყველაფერს პროუკაციის ელფერი დაჰკრავს. ალბათ, “ნაციონალებმა” მიიღეს დირექტივა, რათა სიტუაცია არიონ. ხელისუფლებამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ე.წ. სასახდრო ზოლის პერიმეტრი გადაკეტა. ვითარების დესტა-ბილიზაცია ქვეყნისთვის სახიფათოა. დე-სტრუქციული ძალები ამას გამოხატვის თავისუფლებასა და დემოკრატის არქმევენ, მაგრამ ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, სადაც არ არის მყარი პოლიტიკური სისტემა, ინსტიტუტები და გარეშე ძალებს საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ, დესტაბილიზაციას მიიძე შედეგები მოაქვს.

დასავლურ ქვეყნებში გამოხატვისა და პროტესტის უფლება კონსტიტუციით არის გამყარებული, მაგრამ, როდესაც პროტესტი ქვეყნის სტაბილურობას უქმნის საფრთხეს,

პროტესტანტებს მკაცრად სჯიან. ჩვენთან და ჩვენთან ქვეყნებში კი დემოკრატია და გამოხატვის თავისუფლება მანიპ-ულირების საგანია და მას ისეთი ინტერ-პრეტაცია ეძლევა, როგორც გარკვეულ გარეშე ძალებს აძლევთ ხელს. როგორც წარსულის მწარე გამოცდილებამ დაგ-ვანახვა, ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ, რადგან ქვეყანაში კარგად დაფინანსებული ძლიერი მესხეთე კოლონა მოქმედებს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: რუსეთის ვინებაში სააკაშვილმა ამ ქვეყნის საქმე კარგად შეასრულა. როგორ შეიძლება ვინ-მეს ეჭვი ეპარებოდეს, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი ვიდაციის დაკეობას ას-რულებდნენ? კოდორის ხეობას გადაარქვა სახელი და ზემო აფხაზეთი უწოდდა... ის-ტორიას არ ახსოვს, ეს ხეობა უცხოის ტერში ყოფილიყო. ხელი შეუწყო აფხ-აზეთისა და ოსეთის დე იურედ აღიარებას და ახალგორისა და 140 სოფლის დაკარგვას. იმ ადამიანებს, რომლებიც რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგის აუცილებლობაზე ლაპარაკობენ, მოლაღა-ტეებად აცხადებენ, ხოლო მათ, ვინც რე-ალურად დაკეობას ასრულებენ, ქვეყნის საწინააღმდეგოდ მუშაობენ და, ამასთანავე, ანტირუსულ რიტორიკას ეწევიან, – პა-ტრიოტებად.

დღეს ახალი სახეობის ომი მიმდინარე-ობს. პირველ რიგში, ეს არის საინფორმა-ციო და ფსიქოლოგიური ომი. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ადამიანებზე ფსიქოლოგიუ-რად ზემოქმედებენ, ხოლო ჩვენი განათლების სისტემის ჩართვა გლობ-ალური განათლების სისტემაში და იქ ახ-ალგაზრდა თაობის აღზრდა და სოციალ-იზაცია სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამ პროცესების ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ საზოგადოებაში არის ჯანსაღი ნაწილიც, თუმცა იმავე ტექნოლოგიებით ხდება ამ ნაწილის მარგინალიზაცია, ამიტ-ომ საჭიროა სადი აზრის უფრო მეტი აქტიურობით გავრცელება.

– მთელი კვირის განმავლობაში ბევრს საუბრობდნენ კანონზე ოკუპაციის შესახებ.

არ იყო ეს კანონი მისაღები თუ ფორმა არ ვარა?

– როდესაც რუსეთმა აფხაზეთისა და ოსეთის დე იურედ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჩვენმა ხელისუფლებამ საპა-სუსოდ ეს ტერიტორიები ოკუპირებულად აღიარა და რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გააწვიტა.

ძალიან სამწუხაროა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენი ქვეყნის ხელისუფალნი შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ. შესა-ძლოა, ეს იმიტაც აისხნას, რომ გამოუცდელი იყვნენ. მსოფლიო პოლი-ტიკა სხვა მექანიზმებით იმართება, ამის გამოცდილება კი ჩვენს პოლიტიკოსებს არ პქონდათ. ამასთანავე, საქართველოს ხელისუფლება გადაწყვეტილებას სმირად იღებდა ემოციურ ფონზე, რაც დაუშვებე-ლია. დასავლეთი, რომელიც პოლიტიკური ამინდის შემქმნელია, თავის გემებს ასწლიანი პერსპექტივით განსაზღვრავს. საჭიროა პოლიტიკის კეთების მექანიზმების ცოდნა, ობიექტური ინფორმაციის მოპოვება პოლიტიკური აქტორების მიზნებზე, პრო-ცესებში გარკვევა და პოლიტიკის რთულ ლაბირინთებში გზის გაკვლევა. საქართველოში კი ანალიტიკური სამსახ-ურები, რომლებიც რეალური სურათის კვლევაზე და აღქმას უნდა ემსახურებო-დნენ, არ არსებობს. მათზე დაკეობაც არ არის. ყველა ასეთ სამსახურში ტენდენცი-ურ ანალიზს აკეთებენ – ამბობენ, რომ რუსეთი ცუდია და დასავლეთი – კარგი.

პოლიტიკა წინააღმდეგობების თამაშია, ამიტომ სათანადო სამსახურები კარგად ინფორმირებული უნდა იყვნენ. ყველა წინააღმდეგობა შენს სასიკეთოდ უნდა გამოიყენო. არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი პოლიტიკური ელიტა, რომელიც ქვეყ-ნის სათავეშია, ყველაფერში გათვითცნო-ბიერებულია.

თითოეული ცენტი კონტროლდება. საქართველოში კი ამინდს უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგა-ნიზაციები ქმნიან და თავიანთ დირექტივებს გვეკარნახობენ და გვეკონტროლებენ.

– მას შემდეგ, რაც საზღვართან არეულობა დაიწყო, პრემიერმა და თავდაცვის მინისტრმა რამდენიმეჯერ განაცხადეს, დაკარგულ ტერიტორიებს აუ-ცილებლად დავიბრუნებთ. რა უდევს ამ განცხადებებს საფუძვლად? ხომ არ მიიღეს გადაწყვეტილება, რუსეთს დაეღალაპარაკო?

– შეგნით რა ხდება, არ ვიცი. შესაძლოა, ეს მხოლოდ პიარის ელემენტებია, რადგან პიარი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. არ ვიცი, რა აძლევთ ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს.

რუსეთის მიმართ დასავლეთის პოლი-ტიკა გამძაფრებულია, თანაც – ყველა მი-მართულებით. ავიდეთ, თუნდაც სააკაშვილის დანიშვნა, ირანთან ხელშეკრულების მიღწევა, ნაფთობის ფასის დაცემა. ამიტომ არ ვიცი, ჩვენს ხელისუ-ფლებას რა აქვს მხედველობაში, როდესაც მიწების დაბრუნებაზე საუბრობს – რუსეთ-თან მოლაპარაკების დაწყება თუ რუსეთის პოზიციების შესუსტება. ამას მომავალი გვიჩვენებს.

ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ რუსეთის აღსახდელი დადგა, რბილად რომ ვთქვათ, პრიმიტიულად აზროვნებენ. რუსეთი ამაზე გაცილებით მიიძე მდგო-მარეობებიანად გამოხედა, ეს მისი დამახ-სიათებელი თვისებაა. რუსეთის შესუსტე-ბაზე საუბარი ნაადრევია, განსაკუთრებით – დღეს, როდესაც მოხდა ალტერნატიული ძალების კონსოლიდაცია ბრინს-ისა (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და თშო-ს (თანამშრომლობის შანსიური ორგანი-ზაცია) სახით. ვითარება მარტივი არ არის. მსოფლიოში ძალთა დაბალანსებისა და მრავალპოლუსიანი სამყაროს ელე-მენტები იკვეთება.

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)



რატომ იყურება ალფინგელი დასავლეთისაკენ?

მაფერი მაფერაფალი



თბილისის 80 პროცენტი სხვა ხალხს ჰქონდა შეძენილი, მხოლოდ ორი პირველი გილდიის ვაჭარი გვეყავდა ქართველი, ისეთი, რომელსაც რაღაც დონის ქონება ჰქონდა, დანარჩენს არაფერი გააჩნდა... არაფერი... ამიტომ, ღვთის წინაშე უნდა ვადიაროთ, რომ სწორედ ღმერთმა გამოგვიგზავნა ის სიტუაცია და...

ინტერვიუში: ახლა ცოტა უხერხულია, ბატონო ვახტანგ, ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, რომ არა ბევრი გაუგებრობა, ამაზე დათანხმება შეიძლება... სანდონი არ არიან რუსები. ათი ხელშეკრულება დაიდო რუსეთთან და არაფერი გამოვიდა (იგულისხმება, რომ ყველა ფარატინა ქაღალდად დარჩა.) ამან შექმნა პირობა, რომ არ გვირდა ასეთი ხელშეკრულებები.

ზახტანდ ბოშაძე: ის რაც ჩანაფიქრია რუსეთისადმი ბოლო პერიოდში, მაშინაც (იგულისხმება 1917 წელი) ასე იყო - გახრწნა და გარყვანა რუსეთის და მისი გაფუჭება, მაგრამ სტალინმა აურთიან გვეგმებო. აი, ზიუგანოვს აქვს წიგნი „დღერევა“. ძალიან კარგი წიგნია. სტალინზე ორი გვერდი ამ წიგნში. ლენინი ნაღდად არ უყვარს. სტალინს კი აფასებს იმიტომ, რომ „დღერევა“ გადაარჩინა.

15 და 16 ათასი სასულიერო პირი დახვრიტეს მარტო ლენინგრადისა და მოსკოვის ოლქებში. 1000 კაცამდე დარჩა 3 წელიწადში (იგულისხმება 1917-20 წლები). მე რაც მახსოვს, ეს მოლიანად ლენინის ნამოქმედარი იყო... 360 ათასი მღვდელი გაწვევითა რუსეთში...

სტალინზე მე მაქვს საპატრიარქოს მიერ 1993 წელს ნიუ-იორკში გამოცემული „ზაკონ ბოიო“. პოლა. იქ წერია, თუ როგორ გაანადგურეს ეკლესია ლენინმა და ხრუშჩოვმა. რაც შეეხება სტალინს, „იგი გარკვეულ დამოკიდებულებას აჩვენებს 1943 წელს ორი სასულიერო აკადემია და რვა სემინარია გახსნაო“. - შესაწირი შევიდა იმდენი, რომ უზარმაზარი ფული განხდა, - ჩვენს კათოლიკოსს „ზიმი“ არ გამოუგზავნა? - კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს. სატანკო კოლონა ააშენეს აქედან გაგზავნილი ფულით და ამიტომ...

ზახტანდ ბოშაძე: პირველად ეკლესიამ თქვა „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“. სხვათა შორის, ეს იყო გენიალური ამბავი. ამის დაწვობამდე რამდენიმე დღით ადრე სტალინმა დატენა ნიბუხი და ჩაილაპარაკა თავის თანამშემწეთთან: „და მაინც, რუსეთის პატრიარქთან მინდობა შეხვედრას“. პატრიარქი, გვონებ, არც არსებობდა მაშინ, მხოლოდ მიტროპოლიტი ერქვა. პოლა, დაფაცურდნენ და უთხრეს: თქვენო უწმიდესობა, სტალინმა ინება და ბრძანა, თუ ისურვეს ჩემთან შეხვედრასო. კაცი შეშინდა თურმე. აასხა ციფრა ოფლმა და უთქვამს: როგორ უნდა ვეახლო, დამიზუსტეთ, როგორ ვეახლო - გაკრეჭილი თუ როგორ?

სტალინის უთქვამს: როგორ გეკადრებათო. როგორც მის მალაქა უწმიდესობას შეშვენის, ისე მობრძანდეს, თუ გეკადრებასო. დაინიშნა შეხვედრის დღე. როგორც პატრიარქს ეკადრება, ეს ნიშნავს 12 ევისკოპოსს, 12 ეპისკოპოსს და, რა ვიცი, ქვეყანას, მიუღო უზარმაზარ არმიას. პოლა, სტალინმა ამ შეხვედრას დაასწრო ყველა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეები, ამ ცერემონიალს დაასწრო სხვა ხელმძღვანელებიც.

გაიღო კარი და გუნდრუკის კმევით მოდის პატრიარქი.

მოგესხენებათ, საკმევლს რომ აკმევს, იმ დროს მადლის მიღების ეკლესიური „მეთოდი“ არის ასე: მარჯვენა ხელს დაიჭერენ მარცხენა ხელით და თავს სცემენ... აი. ლიტურგიაზე, წირვაზე რომ ხდებოდა... ეს რომ გააკეთა სტალინმა და რომ დაინახა (საუბარია პატრიარქზე), მან რომ ასე გააკეთა, თავიანი სცა უდიდესმა იმპერატორმა (პირველად შეხვდა. ხომ იცით, სემინარიაში გაზრდილი იყო), თქვა: „შენ ღვთის გამოგზავნილი, სტალინი! ღვთის გამოგზავნილი!“

სტალინმა თითქოს იცოდა, პატრიარქი ამას რომ იტყოდა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეებს მოასმენინა, რომ მე თქვენგან კი არა ვარ დანიშნული, იქიდან ვარ, ზეციდანო.

- თქვენო მალაქა უწმიდესობა, ვიცი, რომ ძალიან შევიწროებული ხართ, ვერ გაქცევთ ყურადღებასო, - ეუბნება სტალინი, - რას ამბობთ, რას ბრძანებთო.

- თუ რაიმე პრობლემა გექნებათ, გთხოვთ, რომ უშუალოდ მომმართოთ! - თქვა სტალინმა და დაავალა ყველას, ყველაფერში მოეხმარათო.

როცა წავიდა პატრიარქი, მეორე დღესვე დააწესა რუსეთში სტალინის სალოცავი დღე. ხრუშჩოვმა გააუქმა, თორემ მანამდე იყო. მაშინ ეკლესიამ მილიონებად ღირებულ ქარხნები და ავიაციის შეიძინა. ფული ბევრი ჰქონდა ეკლესიას და ომის დროს დიდი დახმარება გაუწია სახელმწიფოს.

სტალინმა თურმე 500-გრამიანი პურის ტალიონი გაუგზავნა პატრიარქს. რუსეთის ათეისტური საზოგადოების თავმჯდომარეს ჰქონია 300-გრამიანი და უთქვამს: პატრიარქს 500-გრამიანი და მე 300-გრამიანი და კიდევ იტყვი, ღვთის რისხვა არ არის ჩემს თავზეო?

პეტერბურგში დაგებულ სტალინის მარგალიტოვანი წერილი. სტალინსტი არა ვარ-მეთქი, მაგრამ სირცხვილია, ვითომ არ არსებობდა კაცი, ასე რომ იტყვიან. იქ ვთქვი: რომ „ჯულიანოვი ქართველია, მაგრამ სტალინი - რუსეთის იმპერატორია-მეთქი. ჩემი მდგომარეობა სხვანაირია - საქართველოში მთავა სხვა ეროვნების კაცი (საკაშვილის მაგალითიც კმარა - „ილორი“) და მერე აქ ყველაფერი ქართული იკარგება. იქ არ კარგავ არაფერს. პოლა, ამიტომ ნუ დავარგავთ სტალინს-მეთქი, სტალინის ფენომენის სიდიადეს. იგი, მეორე მსოფლიო ომის მომგები, ისტორიაში ყველაზე დიდი სახელმწიფო მოღვაწეა. არც მაკედონელი, არც ნაპოლეონი ამ მასშტაბისა არ არიან. მან მსოფლიო ომი მოიგო!

სტალინი აშენებდა, კონკრეტულ სასიკეთო საქმეებს აკეთებდა ქვეყნისა და ხალხისათვის, ესენი კიდევ...

სტალინმა მსოფლიო ომი მოიგო, ელცინმა ჩენებთან „გემირულ“ დამარცხებას მიადგია.

- დაახლოებით ისეა, ჩვენთან რომ დიქტორები აცხადდნენ - ამერიკელმა სპორტსმენმა უქარო მუდალი მოიპოვა, ხოლო საბჭოთა სპორტსმენმა ბრინჯაოთი დაიმსვენა მკერდით. და თანაც, ამ დროს, ხაზგასმა იმდენად მკვეთრი იყო, რომ მსმენელს ეტიც არ უნდა უქარო მუდალი ბრინჯაოს უპირატესობაში. კახური ანეკდოტიც ბევრჯერ მოგვისმენია: პირველ ადგილზე გასულ ივანოვსა დიდი ლენინის დიდი პორტრეტი, მეორე ადგილზე გასულ ქობულაშვილსა - სანადროო თოფი თავისი პატრონატითა და იაპონური რადიომიმღები...

აშშ-მა, ასევე, მიადგია შეთანხმებას წყნარ ოკეანეში, ავსტრალიაში სამხედრო ბაზების განლაგების შესახებ. წყნარ ოკეანეში, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, სამხედრო პოტენციალს აფართოებს ჩინეთიც.

მსოფლიო დიდი ცვლილებების წინაშე დგას. მთავარია, ამ კატაკლიზმებიდან საქართველო უმტკივნეულოდ გამოვიდეს. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ფრთხილი პოლიტიკა გვჭირდება. ნატოზე რიტორიკა უნდა შესუსტდეს. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში არის ფრთა, რომელიც კატეგორიულია, მაგრამ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, რომელსაც არ აქვს შესაბამისი სამხედრო ძლიერება, აუცილებელია, საჭირო მომენტში საჭირო გადაწყვეტილება მიიღოს.

სულგანათლებულ ვახტანგ გოგუაძის საუბარი ზუსტად ოცი წლის წინათ, 1995 წლის შემოდგომაზე ჩავიწერე მერაბ კოსტავას ქუჩის ნომერ 14-ში, გამომცემლობა „სამშობლოს“ მთავარი კორპუსის მეხუთე სართულზე, ბატონ ვალერი კვარაცხელიას იმ კაბინეტში, რომელშიც, ვიდრე სხვა რედაქციებში ამ შენობიდან გამოყრდნენ, უურნალისტური ცხოვრების მაჯისცემა ძალუმად იგრძნობოდა. მასთან დიალოგში ორი ვერნაწილეობდით - თავად მასპინძელი და მე.

გთავაზობთ ამ დიალოგს ურეტუმოდ - ყოველგვარი აზრობრივი და სტილისტური ჩახწორების გარეშე.

ზახტანდ ბოშაძე: ყველაფერი მიმართულია იქით, რომ კულტურა და განათლება წავგაროვან, რათა გაგვასაღონ დაბალი კატეგორიის მუშები. ერთ-ერთ ქვეყანაში თვე-ნახევრის წინ ყველაზე საზარელი ფრაზა ითქვა: „ერები და ხალხები ყოფილ საბჭოთა კავშირში“ - ასეთი იყო თქმა. თქვეს, რომ ყველაზე დაბალი დონე, ყველაზე მძიმე მდგომარეობა საქართველოშია. „იქ ბუნება მშვენიერია, მაგრამ ეს ხალხი - ქართველები არ შეეფერება ამ ბუნებასო“. დაუკვირდით ამ აზრს!

ფრაზა ჩვენ არ ვიცით, ვის ეკუთვნის, მაგრამ თავისი მნიშვნელობით რასაც ნიშნავს, ასხნა არ ესაჭიროება.

- სად ითქვა?
- კონფერენციაზე ითქვა.
- რომელიმე გაზეთში დაფიქსირდა?
- შეიძლება ეს გაზეთში არ მოხდეს, მაგრამ არაა გამორიცხული... იქ მერე დაიბეჭდა კიდევ, იქ ითქვა.

ზახტანდ ბოშაძე: ცოტა რაღაც შანსი მაინც არის, რომ გადავრჩეთ - ზიუგანოვთან არის შანსი. იმას ლოგიკა აქვს, კაცია, იმასთან ლაპარაკი შეიძლება. იქნებ არ დაგეთანხმოს, მაგრამ რაიმეს მაინც ეტყვი, რომ დაგტკბოდეს. ერთი რამეც გასათვალისწინებელია - 1917 წლის რევოლუციამ საქართველო იხსნა...

მე საქართველოს ისტორიკოსებს შეგხვედრივარ, - ცოტა ისეთი ხალხი რომ არის, ჩრდილში რომ ამჯობინებენ ყოფნას, მაგრამ ბევრი რამ იციან, ამ საკითხზე გულწრფელად, ჩემთან ასეთ ხალხს უღალბაკანია: თუ არა 1917, დაღუპული ვიყავით... მაგრამ როცა პირთან მიკროფონს მიუტანენ, ერთბაშად იცვლებიან... აი, ამან დაგვლუპა ჩვენ, ასეთმა გაორებამ...

თამარ კიკნაძე: “ნაციონალურმა” მიიღეს ღირებულება, რათა სიტუაცია არიონ

(გაგრძელება მე-4 გვერდიდან) - აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი დასავლეთზე ძალიან გაბრაზებულია. რა საფრთხე ემუქრება ამ ქვეყანას?

- ბოლო პერიოდში აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დათბობა შეინიშნება. დასავლეთის მხრიდან გაისმის განცხადებები, რომ შესაძლოა, აზერბაიჯანში მიადანი განმეორდეს და, როგორც ჩანს, ალიევი შემოქმედებას განიცდის. საუბრობენ, რომ აზერბაიჯანში ავტორიტარული რეჟიმი და კორუფცია მიყენარებს. დასავლეთი შეეცდება, სიტუაციის დესტაბილიზაციას იმ შემთხვევაში, თუ პრორუსულ განწყობებს შეამჩნევს. ალიევი არის ლიდერი, რომლის პერიოდშიც ქვეყანა სტაბილურია, ეკონომიკურად ძლიერია, ხოლო მოსახლეობა ყოველწლიურად 90 ათასით იმატებს. ამასთანავე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ახლახან განაცხადა, რომ ყარაბაღის პრობლემა ახლებურ მიდგომას საჭიროებს. ქვეყანაში სიტუაციის სტაბილიზება ილჰამ ალიევის მამის - პეიდარ ალიევის პერიოდში დაიწყო. აზერბაიჯანმა ყარაბაღი პირველი პრეზიდენტის - აბულფაზ ელჩიბეის პერიოდში დაკარგა, რაც ანტირუსული პოლიტიკის და განწყობის შედეგი იყო.

- რა ვითარებაა მსოფლიოში?

- გაზსადენმა “ჩრდილოეთი ნაკადი 2”-მა, შესაძლოა, გერმანიაზე გაიაროს. უკრაინამ უარი თქვა რუსული გაზის შესყიდვაზე და ამით დაკარგა ტრანზიტული ქვეყნის ფუნქცია, რომელსაც გერმანია შეიძენს. სანკტ-პეტერბურგის შეხვედრაზე გაფორმდა შემორანდში გერმანიასა და რუსეთს შორის, რაც თურქეთთანაც ხელსაყრელი ვაჭრობის საფუძველია გაზსადენზე.

ჯერჯერობით ევროპა რუსული ბუნებრივი აირის გარეშე ვერ იარსებებს.

დასავლეთმა და, პირველ რიგში, აშშ-მა, ირანთან მოახერხა შეთანხმების მიღწევა. ახლა საჭიროა რატიფიცირება დოკუმენტისა, რომლის თანახმადაც, ირანს ემბარგო მოეხსნება. ირანისთვის ემბარგოს მოხსნა ნიშნავს, რომ ბაზარზე გამოჩნდება მილიონობით დამატებითი ბარელი ნავთობი, რაც ფასების დაცემას გამოიწვევს. ირანს აქვს ტანკერების უდიდესი ფლოტი, რომლითაც ნავთობის გადაზიდვა შეუძლია. გარდა ამისა, ამერიკელებმა რეზერვები გახსნეს და, თუ კონგრესმა დაამტკიცა რეზერვებიდან ნავთობის მოპოვების უფლება, მაშინ მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი ძვრები მოსალოდნელია, რომლებიც რუსეთის წისქვილზე ნამდვილად არ დაასხამს წყალს. თუმცა ამის საპირწონედ დაიწყო რუსეთის ვექტორის გააქტიურება აღ-

მოსავლეთით - ბრინხ-ისა და თმო-ს გაძლიერებით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცვლილებებს განიცდის იაპონიაც. ხდება იაპონიის კონსტიტუციის გადახედვა იმ ნაწილში, რომელშიც ლაპარაკია პაციფიზმისა და საომარი მოქმედებების შესუღვაზე. იაპონიის პრემიერმინისტრის - შინჯო აბეს ამერიკაში ვიზიტის შემდეგ გადაიხედა მიუღი რიგი ხელშეკრულება.

აშშ-მა, ასევე, მიადგია შეთანხმებას წყნარ ოკეანეში, ავსტრალიაში სამხედრო ბაზების განლაგების შესახებ. წყნარ ოკეანეში, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, სამხედრო პოტენციალს აფართოებს ჩინეთიც.

მსოფლიო დიდი ცვლილებების წინაშე დგას. მთავარია, ამ კატაკლიზმებიდან საქართველო უმტკივნეულოდ გამოვიდეს. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ფრთხილი პოლიტიკა გვჭირდება. ნატოზე რიტორიკა უნდა შესუსტდეს. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში არის ფრთა, რომელიც კატეგორიულია, მაგრამ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, რომელსაც არ აქვს შესაბამისი სამხედრო ძლიერება, აუცილებელია, საჭირო მომენტში საჭირო გადაწყვეტილება მიიღოს.

ესაუბრა ეპა ნასშირვაშვილი

მაფერი მაფერაფალი  
მაფერი მაფერაფალი  
მაფორსალი დო მაფორუ.  
გურშე გეშედი ნაფულა  
მურიცხი ქინიმატკეალუ.  
ჭიჭე გუკინი ფართანე  
თუთაშ თე ინიფარფალუ.  
მაფერი მაფერეფალი.  
მაფორსალი დო მაფორუ.  
პოპორი, მოპიპურელი,  
გამწას ულა დო პორიქი.  
ცა დიხათ ორე შურელი,  
თუდო წყარი დო ჭოლოქი.  
ართო ჭიჭა დო ჭულერი.  
მუნაფა ეტოპულერი.  
გაჭვათაფალი ოშურე,  
დორხელო გახვალამარი.  
გახუაფალი გახა დო  
ოხვამე, გითახვამალი.  
შური მოქქეა ლარტეში,  
ე მოღარდალე ჩანარი  
ორთაშე გიწონტებული  
კოლხი, ლაზი დო წანარი...  
ზაალ ჯალალონი

საფუნო  
დიკუნტარი კაბაშ ქობა,  
დლა წყარცალო გოკო გეშევე,  
ხიბას გერე აფუნობა,  
გითიჯინექ ოსინთეშე.

გიჭანუნანც დოლო ირო,  
გაცხვანტალუ ტანიშ ჩხვიჩხვი,  
დემე ანი, გოლვაფირო,  
ათე ბორჯი ვარე ჩქინი.

აფუნ რექო, ჩქიმი ცირა  
ცაშ კიდირშე გითნაცირა?

სო გილემბარქ ჩქინქ ცალო,  
ქიბეკოსქიდი უზა ჭაღეს,  
გუპეულუ ორთას გვალო,  
ქუმორთი დო ქომიჭანე.

ქიწომზადე ია-ია,  
ველიტუა შურიშ ნართი,  
აფუნ შვანიშ მაფშალია,  
გეხანგი დო გესიმართი.

სონ ლაკადას ეკოთხოზუქ,  
ირო ხვალე, ირო ცალო,  
აკოთანაშ ხისხირ გორდვუ,  
ემშაღალირ ყამაცალო.

სო იდე დო მის ა უნი,  
მა ვავორდი სქანი ჭყიში,  
გიტქენდუო ტანც აფუნი,  
ვარ გოშინა ზოთონჯიში.

მუ ჰამო რე ათე უღუ,  
დეკუნტარი კაბაშ ქობა,  
აკოთანას ქუმურთუმუ,  
მონჭაფილ რე აფუნობა.

\*\*\*  
მუ თონწყუ რე გურიშ ხიბა,  
კოს ოწონდეთ მუთმაძირე,  
მუზმა წანაშ მიკანხვილა,  
შურო ვაკათ ბურცხა ჩირე.  
იკითხირე ცოლა მარდი,  
ირკონ ართო ჯიმა აფუ,  
გომეულე არბა ვარდი,  
ცას ხილი ქიმენჭაფუ.

მარა ბოლოს შხვანერ ცოფე,  
იმონკებუ თიში ცვილი,  
ვართ ფანია ვთმაჭოფე,  
ვართ ჯიმა დო ცოროფილი.

ირჩინუ დო უფურაში,  
თარაშ ნება ვასვენ კინი...  
ორაგუნანც ირკოს თაში,  
წასაგებელ ღურუშ ჭინი.

ბიორბი ხულორდა  
2014 წანა, 28. ფურთუთა  
ოფუტე სალხინო

# სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფია იაკობ რაინეგის სამომავლო ჩანაწერებში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

## რუსის ციხე

იაკობ რაინეგის გვაუწყებს, რომ რუსთა რაზმების მიერ დანგრეული აფხაზური პატარა ციხე რუხი ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და ლახუბში მინავალი გზის ჩამკეტილია. იქვე ახლოს მდებარე სოფელსაც რუხი ეწოდება, ხოლო მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით შვიდ ვერსზე, ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სამეგრელოს ყველაზე მძლავრი და დიდი ციხე ვერსი, ანუ ვერსი (რაინეგის 2002: 121). რაინეგის ცნობა რუხის ადგილმდებარეობაზე არასწორია. რუხი ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს.

რუხის ციხეს ვახუშტი ენგურის ნაპირზე მიუთითებს: „ანაკრის აღმოსავლეთ ამ მდინარეზედ (ენგურზე - ი. კ.) არს რუხის ციხე დიდი შენი, შიგ წყარო გამომდინარე, ადაშენა ლევან დადიანმან ქრისტეს საჩქმზ. ქართულ სატლე, შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩ-დკე, ქართულ საუიგ, და ამის ქვით ადაშენეს ანაკრია უმტიციც-სად. რუხსში თხრების კაჟი ჩანახისა ფრიად კეთილი და მრავალი“ (ვახუშტი IV, 1973:778-779).

რუხის ციხე გვიანი შუა საუკუნეების ოდიშის სამთავროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო. მისი მშენებლობა ვახუშტის „ადწერისა“ და სხვა ისტორიული წყაროებითაც უკავშირდება ლევან II დადიანის სახელს, რასაც ციხის დაგეგმარება და კედლების წობაც ადასტურებს. ციხის აშენება უმთავრესად განპირობებული იყო აფხაზთაგან ოდიშის დასაცავად. ლევანისავე ინიციატივით XVII ს. 30-იან წლებში განხორციელდა ჩხარიდან და ჩიხორიდან იმერეთის მეფე გიორგი III-ის (1605-1639წწ) გამოსახყდში მიღებული სომეხი და ებრაელი ვაჭრების რუხში ჩამოსახლება. ასე დაარსდა აქ სავაჭრო სახელოსნო ადგილი ქალაქის სტატუსით. სომეხებით დასახლებული ბორჯო რუხში, ჯიხაშკარის უბანში, დღესაც ნასომეხ(უ)დ იწოდება.

ცნობა რუხის ციხის შესახებ დაცულია შარდენის „მოგზაურთაში“, როცა იგი გადმოგვცემს 1672 წლის, ოსმალთა შემოსევასთან დაკავშირებულ ამბებს. უფრო ადრე, ზუგდიდთან, კოსხეთის (კორცხელი) და ანაკლიასთან ერთად, რუხი თავის რუკაზე აღუნიშნავს ლამბერტს (ლამბერტი 2011: ჩანართი 1 – „კოლხეთის ანუ სამეგრელოს რუკა“). „ახალი ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ რუხის ციხეში ინახებოდა ოფშქეთის ბრძოლის დროს ქართლის მეფე სიმონისათვის დადიანის მოლაშქრეთაგან წართმეული ზარბაზნები (ზაქარაია სსმ, XXVI, 1970:282-288).

1700-1712 წლების ახლო ხანებში გრიგოლ კათალიკოსის მიერ დაწერილ „ოფნიში“ აღნიშნულია: „რუხუს რომ ლევან დადიანი მოკუდა, მისი სიცოცხლეშიდ დადიანის აღნებით ნემსადე კხსმოსლოდა“ (კაკაბაძე 1921: 102). „რუხუ“ სწორედ სოფელი რუხია. 1712წლის „გარბეების წიგნი“ გვამცნობს: „შარვაშიდ რუხს მოკვდა, წავედით დავითბრეთ, ნიშნიც მართებული ავიდეთ...“ (იქვე: 104-105). გიულდენშტედტის ცნობით, რუხი ციხე ენგურის მარცხენა ნაპირზე, რაც უწინ თურქთა ხელში იყო, ამჟამად კი მიტოვებულია (გიულდენშტედტი I, 1962:325). რუხის მშენებლობაზე ცნობა დაცულია არქანჯელო ლამბერტის ნაშრომში. „მხოლოდ სომეხების ქალაქში, – გვაუწყებს ლამბერტი, – რომელიც აშენებულია აწინდელ მთავრის დროს, არის მოვლანზე რამდენიმე დუქანი, სადაც იყიდება ტილო და ირანული შალი“ (ლამბერტი 2011:179). სომეხების ქალაქში თვათინელი მისიონერი სწორედ რუხს გულისხმობს.

ილია ანთელავას მართებული მოსაზრებით, რუხში ციხის აგება, მისი „გაქალაქება“ და ლევან დადიანის მიერ გატარებული სხვა ცნობილი ღონისძიებები (ვაჭრების მოწვევა, ზარაფხანის გახსნა...) მთავრის პროექტის მიზანდასახულობათა რეალიზაციას, კერძოდ, ევროპასთან სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებას ისახავდა მიზნად (ანთელავა 1990:113-114).

თვით ციხე აგებულია ენგურის გაუკაპების შუა წელზე, ენგურსა და მის მარცხენა შენაკადს – რუხ(ი)წყარს შორის, შემაღლებაზე. I პა-მდე ფართობის მქონე ციხე თავისი მასშტაბებით, გალავნისა და კოშკების სისქე-სიმაღლითა და მშენებლობის

სიმკაცრით მნახველებზე დიდ შტაბეჭდილებას ტოვებს. ციხეს ადგილობრივი უწოდებენ რუხიშ ჯიხას, ჯიხას. იქვე მდებარე უბანს, სადაც დუქნები ყოფილა განთავსებული, ჯიხაშკარს ეძახიან. ამასთანავე, რუხის ციხესთან გამავალი სახმელეთო გზა „ჯიხაშკარიშ შარად“ იწოდებოდა. პ. ზაქარაიას მსჯელობით, უწინ ენგური ციხეს უშუალოდ უვლიდა, ამჟამად კი მდინარის მარცხენა ნაპირს 300-400 მ აშორებს (ზაქარაია სს მმ, XXVI, 1970:162-174). აშენებულია რივის ქვითა და კირით. ციხეში შესვლა სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკში დატანებული კარიბაა შესაძლებელი. ციხის გარე კედლის სიმაღლე დაახლ. 10-12მ-ია, საშუალო სისქე – 2,80მ. დასავლეთით და აღმოსავლეთით სიმაღლე 14-40მ-ს აღწევს. შემორჩენილია 5 კოშკი (საშ.ზომა 8,45X9,65მ). ციხის შიდა ზომაა 94X57მ, რაც ორი ნაწილისგან შედგება. ციხე-სიმაგრე 1725 წელს დაუბრუნებიათ თურქ დამპყრობლებს. XVII ს-ში ოდიშის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი და ციხე-სიმაგრე, ამის შემდეგ ქალაქის სტატუსით ისტორიულ წყაროებში არ მოიხსენიება (პაჭკორია 1975:46). საინტერესოა შარდენის ცნობა, რომ რუხის ციხე სამეგრელოს მთავრის ადგილსამყოფელსაც წარმოადგენდა.

## ებერსი/ეპერია

იაკობ რაინეგის ცნობით, ენგურის მარცხენა ნაპირზე, რუხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, შვიდი ვერსის დაშორებით, მდებარეობს სამეგრელოს ყველაზე მძლავრი და დიდი ციხე, რაც კარგადაა ანაშენი და დასახლებული. ციხიდან მიდლო თავისი სახელი მთელმა ქვეყანამ (რაინეგის 2002:121).

გერმანელი მეცნიერის მოტანილ ცნობაზე დაყრდნობით თ. ბერაძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ ქალაქ ვერსში ოდიშის სამთავროს ცენტრი ზუგდიდი უნდა იჯდის (ბერაძე 1997:135). თეიმურაზ ბატონიშვილი მიიჩნევდა, რომ „ებერსის მდინარე“ იგივე ენგურია. მარი ბროსე და თეოდორიანიც ეგრისსწავლს მდ. ენგურთან აიგივებდნენ. ს.კაკაბაძის აზრით, ხალხური გადმოცემები ქალაქ ვერსის ნანგრევებს ზუგდიდის დასავლეთით, სოფ. შამგონასთან, მდ. ენგურის მარცხენა ნაპირას მიუთითებს. ამასთანავე – შენიშნავს ს.კაკაბაძე, ვერსის ნაქალაქიდან დასავლეთით, 8 კმ-ის დაშორებით, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირას, ადგილს ეწოდება ბედიანი.

ზუგდიდის მუხეუმის დირექტორისგან მიღებული ეს ორი ცნობა ს.კაკაბაძეს იმის ნათელსაყოფად სჭირდებოდა, რომ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ მოხსენიებული „ვერსი“ ეგულისხმა არა ისტორიული ბედიის ტერიტორიაზე, არამედ უფრო სამხრეთით, ენგურის ხეობაში. ამასთან შეფარდებით მკვლევარი საყუარადღებოდ მიიჩნევდა ენგურის სახელს – ინგურ, საიდანაც მეგრული სიტყვის ჩვეულებრივი ნაზალიზაციით მიღებული ზედმეტი ნ-ს გამოკლებით უნდა მიგვედო იგრ, ანუ იგრე ენგურის ანუ ვერსის მდინარე (კაკაბაძე 1924:116). თ. ბერაძე იმომწობს სარგის კაკაბაძის ზემოთ მოტანილ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ სოფ. შამგონასთან არავითარი ქალაქის ნაშთი არ შეინიშნება და არც ენგურის ხეობის მარჯვენა ნაპირას მდებარე სოფლების ტოპონიმიაში დასტურდება ადგილის სახელწოდება ბედიანი. თუმცა ვერსის ზუგდიდთან ახლოს მდებარეობის ფაქტი მკვლევარს რაღაც ხალხური ტრადიციის არსებობის მიმანიშნებლად და ამ კუთხით ერთგვარად საინტერესოდაც ესახება (ბერაძე III, 1967:136).

ვალერიან ზუხბაიაც იმ აზრისაა, რომ თანამედროვე ბედიის ადგილას არსებული ისტორიული ქალაქი ვერსი, რაც დაუარსებია ლევანდარულ ეთნარქს – ვეროსს. ბედიის ტაძრის მახლობლად, – შენიშნავს ვ.

ზუხბაია, – არის ადგილი „ნაქალაქის“ სახელწოდებით. „ვინ იცის, ვგებ აქ იყო ქალაქი ვერსი“ (ზუხბაია „აია“ , 8,2000:82-83).

ქალაქ ვერსის ადგილმდებარეობის საკითხს ამ ბოლო დროს მკვლევარი დავით ჭითანავაც შეეხო. მან გაიზიარა თბერაძის მოსაზრება ბედიისა და ვერსის იგივეობის უმართებულობის შესახებ და აღნიშნა, რომ ქალაქი ვერსის სახელწოდებით საძებნია ენგურთან ანუ ვერსისწავლთან. დ. ჭითანავას მოსაზრებით, რაინეგის მიერ აღწერილი ქალაქი ვერსი და მოგვიანებით, ცნობილი გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის – მორიც ვაგნერის (XIX ს. I ნახევარი) მიერ ზუგდიდის ჩრდილოეთით და მასთან ახლოს მითითებული ძველი ქალაქის ნანგრევები ერთიდაიგივე უნდა იყოს. მკვლევარი მნიშვნელოვნად მიიჩნევს აგრეთვე კასტელის მიერ ქალაქ „აგერლუდის“, როგორც „სამეგრელოს მეფის სოფელში მდებარე სახლის“, მოხსენიებას ჭითანავა იქმ, XI, 2009:108-110).

იაკობ რაინეგის ცნობაზე დაყრდნობით დ. ჭითანავა მიიჩნევს, რომ ვერსის ქალაქი („ვერსი“) საძიებელია ზუგდიდის ჩრდილოეთით და რუხის ციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 7-8კმ-ის დაშორებით, ენგურის მარცხენა ნაპირს, სოფ. კორცხელში (ხემობაში), სადაც შემორჩენილია ციხე-სიმაგრის ნაშთი „ჩიუშ-კარის“ სახელწოდებით (იქვე:110-111).

## ილორი

იაკობ რაინეგის ქალაქ ილორს შეცდომით მიუთითებს ანაკლიის პირდაპირ, ენგურის მარცხენა ნაპირზე, სინამდვილეში ილორი ენგურის მარჯვენა მხარეს და ენგურიდან საგრძნობლად დიდი მანძილითაა დაშორებული. მოგზაური ამ პუნქტს ოდიშში მოიაზრებს. მისივე ცნობით, ქალაქს მეგრელები ილორს უწოდებენ, ხოლო აფხაზები – ბოიას. რაინეგის აღწერით, ილორს გალავანი აქვს შემოვლებული. აქ თავს იყრის ყველა მხრიდან მოსული ბრბოკავასიონის ხალხებისა. იქვე არის ქვის ეკლესია, რაც ყანაღაში შიშით ყოველთვის დაკეტილია. „ეს პუნქტი ყოველთვის ცილობის საგანი იყო მეგრელებსა და აბაზას შორის, რადგან ორივენი აცხადებდნენ მასზე საკუთრების უფლებას. როდესაც ვითარება იცვლება და ეს ქალაქი აბაზას მორჩილი ხდება, მას ბოიას არქმევენ, ხოლო როგორც კი სამეგრელოს დაუბრუნდება, ყველა ილორს უწოდებს. ამჟამად ის სამეგრელოს ეკუთვნის...“ (რაინეგის 2002: 121).

ილორის წარსულის შესწავლის თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, უყარადღებს იქცევის ვახუშტის შემდეგი ცნობა: „ზღვის კიდებზედ, ამ წყლის დასავლეთის კიდებზედ, არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლეთ ვერსისი. დასავლეთ მდინარემო ქვისა, და უძეს სამხრით ზღვა და ჩდილოთ ველი. არს ეკლესია უგუნბათი, მცირე, მდიდარი და შემკული. არამედ სილოვანობის გამო. რათა არა შეირყეს ეკლესია, მოუღიათ ქვა დიდ-ფრიადი, ფიქალი და მასზე და შენი არს სრულიად ეკლესია. აქ მოიყვანს? არს ყოველ წელიწად ნოემბერს, რომელსა დაჰკუთვნ და განიყოფენ მეფე დიდებულეთორთ. გარნა არს ფრიად სასწაულმოქმედი ჭეშმარიტსა ზედაცა. არამედ მოსწევს ოსმალთა ეკლესია ილორისა ქრისტეს სახელზე, ქართულსა უპა“ (იქვე:779-780).

როგორც მოტანილია მონაწიროთ ვრწმუნდებით, სახელწოდება მეცნიერი ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მდებარეობას მიუთითებს „ზღვისკიდებზედ“, ვერსისწავლსა და მოქვისწავლს შორის. ილორი, თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, სოფელი და თემის ცენტრია ოჩამჩირის რაიონში. რაიონის ცენტრს – ოჩამჩირეს დაშორებულია 3კმ-ით. ილორის თემი აერთიანებს სოფლებს: სუკს, ზენს, ილორგანს და ნავალოუს. სოფელი ზღვის პირას, ზ.დ. 10მ-ზე და დალიძის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ამასთანავე, ილორის თემში შემავალი ზენი და სუქი უშუალო დალიძის მარცხენა ნაპირას მდებარე სოფლებია.

დონ ჯუზეპე ჯუდინე მიღანელი აღ-

ნიშნავს, რომ წმ. გიორგისადმი მიძღვნილ მთავარ დღესასწაულს უქმობენ ზღვასთან ახლოს მდებარე პატარა სოფელ ილორში, 21 ნოემბერს. სოფელში აქა-იქ გაფანტული ოცდაათამდე სახლი და წმ. გიორგის სახელზე აშენებული ვერცხლისკარებიანი, დიდი თავყანისცემის სიმბოლოდ ქცეული ეკლესიაა. „ამ ეკლესიაზე ამბობენ, – წერს მიღანელი, – რომ წმინდა გიორგი დამის თევისას, მის დღესასწაულს რომ უსწრებს, ერთ ხარს იჭერს და დამით ეკლესიაში ამწყვედვს. დამის სათუფად მთავარი დადიანი აქ მორბანდებდა ხოლმე, რომ მის სასწაულს დაესწროს. სადამოთი ეკლესიას მაგრად ჰკეტავენ და ვერცხლის გასაღებს მთავარს ჩააბარებენ. დილით დიდძალი ხალხი იყრის თავს, რომ მოწმე გახდეს ასეთი საოცრებისა. მთავარი გასაღებს გადასცემს მღვდელს. ალებენ, შედიან შიგნით და ხედავენ ხარს. გამოჰყავთ გარეთ და ჰკლავენ. როგორც ნაკურთხ ხორცს, დადიანი მას მეზობელ მთავრებს უგზავნის. რაც დარჩება, მთავრის სუფრაზე დიდ თავადთა შორის ნაწილდება“ (მიღანელი 1964: 96-97). ილორში, გიორგობის დღესასწაულზე იმართებოდა დიდი ბაზრობა, სადაც თავს იყრდა 20000-მდე კაცი მახლობელი მხარეებიდან (იქვე: 97).

ილორის წმ. გიორგის სასწაულებზე ცნობები დაცულია არქანჯელო ლამბერტისა და ჯან შარდენის ჩანაწერებში. საინტერესო გადმოცემა ჩაუწერია აგრეთვე ფრანგ მეცნიერს, არქეოლოგსა და საზოგადო მოღვაწეს ბარონ დე ბაის (ბარონი დე ბაი 2011: 118-119). ილორის ხატზე მტრის დაწყევლისა და „გალაცემის“ წესწვეულებას ვრცლად აღწერს პროფესორი სერგი მაკალათია (მაკალათია 1941: 348-358; იხ. აგრეთვე კაცია 1963).

გამბა შენიშნავს, რომ ილორი მდებარეობს აფხაზეთისა და სამეგრელოს საზღვარზე. აქ არის უძველესი ეკლესია, სადაც რამდენიმე წლის წინ ინახებოდა რკინის უზარმაზარი მუხარადები, ძველი საომარი აირადი, აქვე იდგა კატაპულტები და შურნალი. ამ ეკლესიას თავყანის სცემენ მეგრელები და აფხაზები, რომლებიც გაუთავებლად საუბრობენ აქ მომხდარი სასწაულის შესახებ (გამბა 1987: 88). ილორის ადგილმდებარეობას გამბა შემდეგი სახით გადმოგვცემს: ეს ქალაქი კვლასურის მსგავსად ლამაზი ფერდობის ძირში მდებარეობს. „უკან მონასს მთების ორი ქელი, რომელთაგანაც მეორე ნაწილობრივ თოვლითაა დაფარული, ზემოდან მათ იალბუხის მაღალი მწვერვალი გადმოჰყურებს“ (იქვე: 94).

## ბოლოთქმის ნაცვლად

უკანასკნელ ხანს სამეგრელოს შესახებ მრავალი მონოგრაფია და სტატია გამოქვეყნდა, მაგრამ ასეთი მზარდი ინტერესის მიუხედავად, შეიძლება დაბეჭდილებით ითქვას შემდეგი: რა კუთხითაც არ უნდა განვიხილოთ სამეგრელოს წარსული, დღემდე გამოცემული და ჩვენ ხელთ არსებული რამდენიმე ათეული მონოგრაფიისა და ცალკეული გამოკვლევის არსებობის შემთხვევაშიც კი, საბოლოოდ მაინც იმ შეხედულებების აღიარება მოგვიწევს, რომ ბევრი რამ ამ რეგიონის ისტორიიდან გამოსამხურებელია, მთელი რიგი საკითხებისა კვლავაც საგანგებო კვლევას და ახლებურად გააზრებას საჭიროებს. ეს კი შეუძლებელია, უპირველეს ყოვლისა, ვეროპელ ავტორთა ცნობების გაანალიზების გარეშე.

წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – იაკობ რაინეგის სამომავლო ჩანაწერების მნიშვნელობა, რომელმაც ახალი მტრისებობა და ნიუანსებით შეავსო ჩვენი ცოდნა XVIII საუკუნის II ნახევრის სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფიისა და ტოპონიმის საკითხებზე. ამასთანავე, მისი თხზულების დირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მასში მოცემული ცნობების დამუშავება-შესწავლით საშუალება გვეძლევა, შევიტყოთ, თუ რა იცოდნენ, რა წარმოადგენა პქონდათ დასავლეთ ევროპაში XVIII ს-ის სამეგრელოზე.

ილორ კეკელია, ისტორიის დოქტორი



იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილს, ახალაიას, მერაბიშვილს და სხვა "კეთილ აღამიანებსაც" შეიწყალებს – ირაკლი ღარიბაშვილი



ხომ ვამბობდი, ლატენტური ნაცია-მეთქი? მე სრული მორალური და იურიდიული უფლება მაქვს, რომ მარგველაშვილს თაღლითი ვუწოდო, რადგან 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მე მას ხმა მივეცი მის სამოქმედო პროგრამასა და რეკომენდატორ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაცემულ დაპირებებზე დაყრდნობით, რაც გულისხმობდა ნაციონალთა მიმეშვიდებლობის აღმოფხვრას და ამ სიბოროტესთან შეურთებელ ბრძოლას. მარგველაშვილი მაკვირვებდა ამომრჩეველი ვერაგულად გაგვიცურა, ნაციონალთაგან დასაწყობებულ გარბეგებში შევიდა და ქვეყნისათვის არასასურველ დადგენილებებს იღებს. ყოველი ჯურის მატყუარა კი საზოგადოებისათვის არამზად და ღვინისპირისაგან გადავარდნილი ურცხვი არსებია!

შეწყალების გადაწყვეტილებას. როგორც ღარიბაშვილიმა ჟურნალისტებს განუცხადა, იმედი აქვს, რომ პრეზიდენტი "საკაშვილს, ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილს და სხვა კეთილ აღამიანებსაც შეიწყალებს". "ჩვენ ვნახეთ, რომ ჩვენი პრეზიდენტი არის ჭეშმარიტად "ნაციონალური" პრეზიდენტი. გუშინ მან შეიწყალა ერთ-ერთი მსჯავრდებული, ბატონი ბობოხიძე, რომელიც ჩვენმა პროკურატურამ დააკავა. მას მიესაჯა პატიმრობა, პრეზიდენტი კი შეიწყალა. მაღიან კარგია, რომ ასეთი კეთილშობილი პრეზიდენტი გვყავს. იმედი მაქვს, რომ ის სააკაშვილს, ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილს და სხვა "კეთილ აღამიანებსაც" შეიწყალებს", – განუცხადა ირაკლი ღარიბაშვილიმა ჟურნალისტებს სასჯელადსრულების სამინისტროში, სადაც მან პენიტენციური რეფორმის ფარგლებში შექმნილი ელექტრონული მართვის ცენტრი გახსნა. მოკლედ, უკვე საბოლოოდ გაამჟღავნა მარგველაშვილად სახელდებულმა არამზადმა თავისი ჭეშმარიტი პოლიტიკური სახე და უკვე დაუფარავად ემხრობა ქვეყნის დამაქცევარ ნაციონალებს, რაც იმის სერიოზულ ეჭვს აღძრავს, რომ ამგვარი უსირცხვილო პოლიტიკური წიაღსვლებით მარგველაშვილი იმ ამერიკელების გულის მოგებას ცდილობს, რომელთაც ყველაფერი იღონეს საიმისოდ, რომ ნაცები და მათი შეურაცხადი ბელადი სააკიანცი საბოლოოდ არ გამქრალიყვნენ საქართველოს პოლიტიკური ცისკიდურიდან. მარგამ ერთ რამეს ვერ ითვალისწინებს ეს პოლიტიკური თაღლითი – იგი საქართველოს პრეზიდენტად დასვეს არა ამერიკელებმა, არამედ ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც ლამის მუხლზე დანოქილი ევედრებოდა სრულიად საქართველოს – აირჩიეთ მარგველაშვილი და ნახათ რა კარგი პრეზიდენტი გვეყოლება!

საქართველოს პრეზიდენტად აღსაზევებლად, თორემ ავადსახსენებელი "თავისუფლების ინსტიტუტის" საშოში აღზრდილი არამზადა და სოროსის ძუძუნაში თაღლითი "ფსიქოლოგი" რომ საქართველოს სასიკეთოს არაფერს მოუტანდა, ეს კარგად უნდა სცოდნოდა. ახლა კი მართლაც მეცოდება ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რადგან მე, რომელმაც ერთი ხმა გავიმეტე ამ მართლაც "პლასტელინა"-არამზადისათვის, თავს ვერ ვპატიობ ამგვარ პოლიტიკურ სიბუკეს, ბიძინა კი ალბათ ბევრად უფრო სასოწარკვეთილი იქნება მარგველაშვილისაგან იმედგაცრუებით. არადა, ამ მართლაც გამკრივან აღამიანს კარგად უნდა სცოდნოდა, რომ კაცს, რომელსაც მოწესრიგებული არა აქვს პირადი ცხოვრება, არ შეიძლება რაიმეში სასიკეთოდ გამოადგეს ქვეყანას და საზოგადოებას. მაინც რა დამსახურებებისათვის უნდა მოსწონებოდა ბიძინა ივანიშვილს წვერ-გაფანჩრული, აჩენილ-დაჩენილი ყბელი ფსიქოლოგი, (რომელმაც პრეზიდენტად არჩევნის შემდეგ გაიპარსა წვერი და აღამიანს დაემსგავსა), რომელსაც ტრადიციული ქართული ოჯახის ნაცვლად, თანამედროვე ამერიკული უზნეობის სტანდარტის შესაბამისად, ე.წ. "გიორღოვრები" პყავდა ქალბატონ მაკა ჩინუას სახით და მხოლოდ მას შემდეგ დაიწერა ჯვარი ამ ქალბატონზე, როცა ქვეყნის პრეზიდენტად ლამის ხელების გადაგრეხვით აგვარჩევინა ბატონმა ბიძინამ! მანამდე ქორწინების დაურეგისტრირებლად ცხოვრობდნენ ერთად მარგველაშვილი და ჩინუა, რასაც, მართალი ქართული ენით, უკეთეს შემთხვევაში, უკანონო თანაცხოვრება პქვია და წვეილს "საყვარლებად" მოიხსენიებენ, უარეს შემთხვევაში კი... მე ამ ფერომენს თავის სახელს ვერ დავარქმევ გახეთის მკითხველისადმი დიდი პატივისცემის გამო! მართლაც უმაღლესი დონის თაღლითი უნდა იყოს აღამიანი, რომ სრულიად უსარგებლო და ცრუპეტყვად არსებამ უდავოდ გამკრივან და საქმეში დაბრძენებ-

ულ ბიძინა ივანიშვილს ვარგისიან კაცად შეასაღო თავი. მარგველაშვილიმა "პრეზიდენტობა" იმით დაიწყო, რომ თანაშემწედ დაისვა პირ-წავარდნილი ნაციონალის მიშა მაჭავარიანის ძმა – ვანო, ვაშლი კი, როგორც მოგეხსენებათ, ვაშლის ხიდან შორს არ ეცემა. ქვეყნის დამანგრეველი და წურბელებად ქცეული ნაციონალები რომ გვედომოდა, მათ კი არ გადავირჩევდით ასე ერთსულლოვნად! არა და, სიცრუეას სიცრუეზე აფრქვევს ეს "პრეზიდენტად" წოდებული არსება, რომელიც სრულიად მოწყდა მისი "გამ-პრეზიდენტებელ" პოლიტიკურ გუნდს – "ოცნების კოალიციას" – და ამერიკელთა მიერ შედგენილი ნაციონალური "შპარ-გალებით" მართავს თავის აპარატს (ქვეყნის მართვის საკითხები, ღვთის მადლით, მას უკვე აღარ ეხება, თორემ, ალბათ საბოლოოდ გადააგდებდა საქართველოს მომავალი განვითარებისა და წინსვლის რელსებიდან!) – ლატენტური თუ ღია ნაცებით გაავსო პრეზიდენტის კანცელარია, უსირცხვილოდ დაიკავა სააკაშვილის ავადმყოფურად ცხელი თავით ნაცები რეიხსტაგი, რომელსაც თავადვე უწოდებდა უბედურებისა და გარყვნილების კერას, ახლა კი ციხიდან გამოყარა ნაცარამზადები... მიკლედ, ღმერთს დავუწყველივართ – პრეზიდენტად თაღლითი და არამზადა გავადეთო! უნდა ვითმინოთ ახლა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ეს ნაღდი ყვარყვარე და ყოველად უმაქნისი აშკარა "ნაციონალური გადახრების" მქონე "პლასტელინა", მაგრამ იმედია, ქართული ხალხი ამჯერად მაინც გონს მოეგება, არ შეცდება და 2016 წელს ისეთ პარლამენტს აირჩევს, რომელიც ერთხმად გამოუცხადებს იმპი-მენტს ამ არარაობას და მისი წინამორბედი სააკაშვილის გზას გაუყენებს მოუსავლეთი-საკემ!

როლანდ ჯალაღანი, მთავარი რედაქტორი

სტუმრუა: "ისეთი რა ცოდვების ბამო გვტანჯავენ ეს უნიჭო და უპიცი აღამიანები?"

ჩვენ, გახეთ "ილოროში" არაერთგზის გამოგვიქვეყნებია მამხილებელი მასალები იმის თაობაზე, რომ საქართველოს რამდენიმე კინორახი აშკარად ახდენს მოსახლეობის ზომბირებას და ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ თურქული და მექსიკური უნიჭო და არაფრისმომცემ სერიალებში ჩაკარგულებს დაუპირფაროს აზროვნების უნარი და სათანამო ტიკინებად აქციოს პოლიტიკოსების ხელში. ეს ტელეარხები მილიონებს ხარჯავენ უშინაარსო ფილმების შექმნაში, რომელთაც მათთვის აშკარად არ მოაქვს კომერციული შემოსავალი. და თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ფული იხარჯება უსარგებლო კომერციული თვალსაზრისით, საზოგადოების გამოსათაყვანებლად, აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისაგან მასების მოსაწყვეტად და სამხარეულოებში მათ გამოსაკეტად. ფაქტია, რომ ის აღამიანები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ საქართველოს დასახსტებლად, პაერს ფულში ტყუილუბრალოდ არ გადაყრიან. ამიტომაც ცდილობენ საზოგადოების დიდი ნაწილის გამოიჯანას პოლიტიკური პროცესებისაგან, რათა თავიანთ ჭკუაზე ატრიალონ ქვეყანა და ისეთი პოლიტიკური ჩიხისაკენ გაუკვალონ გზა საქართველოს, სადაც იგი დამღუპველი კრიზისის პირისპირ აღმოჩნდება და დამოუკიდებლობის დათმობა მოუწევს თავის გადასარჩენად. ასე რომ, თურქული და მექსიკური სერიალების ამგვარ არაბუნებრივ მოზღვაებას თავისი პოლიტიკური ასპექტები გაანინა და თუ საზოგადოება დროულად არ მოეგო გონს, მერე "გვიანდა იქნება თითზე კბენანი"!

ლი აღმონდა ინდური და თურქული სერი-ალები მოსახლეობის ნაწილისთვის. რამდენიმე დღის წინ, ყველასათვის ცნობილმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ, საკუთარი "ფისბუქგვერდზე", სტატუსით, ყველას სათქმელიც გამოხატა და ამით გააპროტესტა ეს ძალიან უნიჭო კინომიმდინარეობა; "ბედისწერამ დედა მიტირა – 24 საათი ქართულ ტელეარხებს ვუყურებდი! რა ჩავიდინეთ ისეთი, ხალხო, რა ვერ მოვიანაიეთ, ანდა ისეთი რა ცოდვების გამო გვტანჯავენ ეს უნიჭო და უეციო აღამიანები?! მესმის, რატომ უცქერს მთელი საქართველო თურქულ სერიალებს. მშვიდდები, აღარავინ გამწარებს, არც ნაცისტების ვითომ ინტელექტუალური და ბოროტი თვალი გიხვერტს ტეინს – ვიდაცას ვიდაცა უყვარს, იმას – სხვა, დედ-მამა კი მოხუც, მაგრამ კეთილშობელ საქმროს სთავაზობენ ლამაზ ხეინაბს – ზიხარ, განიცდი, სასიამოვნო ცრემლი გდის – იცი რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება და გაიწყდება ჭკუა-გადასული, გაუბედურებული, გამწარებული, აბსურდული სამყარო! თამამ! ჩოქ, ჩოქ მერხი!" თუკმა ბტონ რობერტი ვერ დავეთანხმები იმაში, რომ ამ სერიალებს მთელი საქართველო უცქერს.



„საკაშვილი ცრუპენტელა, კოკულისტი და ცინიკოსი ნაპირალაა, რომელსაც საკუთარმა მოქალაქეებმა პანჩური ამოჰპარეს! ტელეკომპანია „იმედის“ დარბევისთვის, გაუპატიურებული პატიმრებისა და ნარკოტიკებისკენ მიღრეპილებითვის! ჩვენ ერთმანეთს სასამართლოში შევხვდებით!“

საქინფორმის განცხადების თანახმად უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატი ბორის ფილატოვი ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს სასამართლოთი დაემუქრა და ის ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენებასა და პოლიტიკურ მაქინაციებში დაადანაშაულა. ბორის ფილატოვი ცნობილი უკრაინელი ოლიგარქი იგორ კოლომოისკის თანაგუნდელია, მასსა და სააკაშვილს შორის ბოლო დროს კონფლიქტი სულ უფრო მწვავე ხდება. „შენ პასუსს აგებ იმაზე, რომ მე ბანდით მიწოდებ მე კონკრეტულ ფაქტებს მოვიყვან. ყველას მოგუყვები, რატომ გაგაგდეს საკუთარი ქვეყნიდან – ეს მოხდა ტელეკომპანია „იმედის“ დარბევისთვის, გაუპატიურებული პატიმრებისთვის და შეინ გატაცების გამო ფსიქოტროპული საშუალებებით, რომლებიც გონებას ადაგუნებს“, – დაწერა დეპუტატმა ფილატოვის საკუთარ გვერდზე. კონფლიქტი სააკაშვილსა და ფილატოვს შორის რამდენიმე დღის წინ ქალაქ ჩერნიგოვში მოხდა. სააკაშვილიმა ფილატოვი ამომჩიველის მოსყიდვაში დაადანაშაულა. უკრაინის სახალხო დეპუტატმა, იგორ კოლომოისკის ყოფილმა მოადგილე ბორის ფილატოვმა მიხეილ სააკაშვილს „ტოტალური იურიდიული იმი“ გამოუცხადა. მან ოდესის ოლქის გუბერნატორს ოფიციალური განაცხადი გაუგზავნა მოთხოვნით, დაასახელოს თავისი ოფიციალური საცხოვრებელი და რეგისტრაციის ადგილი. აღნიშნული დოკუმენტის ასლი ბორის ფილატოვმა, ასევე,

„ფისბუქის“ საკუთარ გვერდზე განათავსა. საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ დორს განავლის ჭამას იოლად ვერ გადაანეგვასეა მიხეილ სააკაშვილიც, რომელიც უკვე წლებია იმდენად ეძალება ნარკოტიკებს, რომ თავი გამოთაყვანებული აქვს. გახსოვთ ალბათ, ამ არამზადის უკადრისი საქციელი, 2011 წელს მახათას მთაზე მოწყობილ საეკლესიო დონისიძებაზე, ნარკოტიკით უზომოდ გამტყვრალი, უზრდელურად რომ ჩაებერტყა უწმინდისისა და უნეტარების სავარძელში. როგორც ჩანს, არც ოდესაში უჭირს ნარკომან სააკაშვილს მალაღმარისხიანი ოპიუმისა და სხვა ნარკოტიკების შექმნა, რაც უკრაინელთა მახვილ თვალს არ გამოუპარა. ყველაფერს სამწუხარო მიეღ ამ უბედურებაში ის გახლავთ, რომ უკრაინელებს სომეხი დამწკია სააკაშვილი ეთნიკურად ქართველი ჰქონიათ, რაც დიდად აკნინებს ჩვენს საერთაშორისო ავტორიტეტს!



# სვეტიცხოვლის ტაძრის „ქვათა ღაღაღი“

„თქვენ გეუბნებით, ესენი რომ გაჩუმდნენ, ქვები ილაღაღებენ“ (ლუკა 20, 40)

სიკვდილსა არ დაჰრიდნეს; გამოჰრიდა ვეფხვან გული, - დედათამცა გამოჰრიდნეს! - ლომი მეღვრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს.

„ლომს დაგუგამე ნაქმარი, ვარქვი: „არა ხარ ცნობასა, შენ საყვარელსა რას აწყუნ? ფუ, მაგა მამაცობასა!“ ხმალ-გამოწვდილი მიეფხე, მიეცე ლახ-ვართა სობასა, თავსა გარდაგვკარ, მო-ცა-გვალ, დაგვხსნენ სოფლისა თობასა. ხრმალი გავტყორცე, გადავჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა; მის გამო კონცა მომინდა, ვინ მწვავეს ცეცხლითა ცხელითა;



მიღრინვიდა და მიწყენდა ბრჭყალითა სისხლთა მღვრელითა, ვეღარ გაგუქელ, იგიცა მოგვალ გულითა ხელითა. „რა ზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დაგამშვიდე, გაგვულისდი, მოვიქნივე, ვკარ მიწასა, დაგამშვიდე; მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წაგვიკიდე; სულნი სრულად არ ამომხდეს, რას გიკვირს, რომ ცრემლსა ვაღვრდი!“

როგორც ადრე მოგახსენეთ, ქართველი ტარიელის მიერ ლომ-ვეფხვის დახოცვაში საიდუმლო რელიგიაზე ზიარება იგულისხმება. ტარიელის ხმალში (ხმალი) იგულისხმება ქართული სამება-დამწერლობა და სამება-ენა, რომელიც წარმოადგენს ადამიანისა და გარემომცველი უსასრულო სამყაროს შინაარსში ჩადებულ იმფორმაციის გასაღებს (ხმა=ინფორმაციის საყვირი და ლი=40 ქართულ კოდს). ტარიელი ვეფხვს - სამყაროს საიდუმლო სიბრძნეს უსასრულო ვარსკვლავიერ კოსმოსს, იტყვს ხელით ანუ წმიდა წერილითა და 40 ქართული კოდით. ლომის ზევით ქვაზე ამოტვიფრული ჯვარცმული იესო და მფრინავი სამება-სერაფიმი, რომელიც სიმბოლურად აჩვენებს ადამიანის სხეულიდან ამობადებულ (ჯვარცმულიდან აღმდგარ)



კოსმიურ კაცს (ანგელოზს), ანუ მეტაფიზიკურ მფრინავ კაცს, რომელიც 24 სავანისა და შესაბამისი სხეულის გამოცვლით ჩაფრინდება სამოთხეში. ლომზე ამხედრებული იესო სიმბოლურად აჩვენებს უსასრულო კოსმოსზე (უკვდავებაზე) ამხედრებულ მზის გალაქტიკას. სასულიერო-საგანმანათლებლო ხაზით ლომში იგულისხმება ქართული სამება-დამწერლობა, სამება-ენა და სამი კლასიკური რჯული, მაშასადამე, იესო ზის გიორგიანული განათლების სისტემის თავზე (მიუ ლემზე). ლომის ზევით ქვაზე ამოტვიფრული სერაფიმი და ჯვარცმული მაცხოვარი. სერაფიმი ჯვარცმულიდან აღმდგარი იესოს მეტაფიზიკურ პერანგს გულისხმობს. ამის

გარდა ამოტვიფრული აჩვენებს ადამიანის სხეულიდან ამობადებულ კოსმიურ კაცს (ანგელოზს), ანუ მეტაფიზიკურ მფრინავ კაცს, რომელიც 24 სავანისა და შესაბამისი სხეულის გამოცვლით ჩაფრინდება სამოთხეში.

სვეტიცხოვლის ოთხი ფასადი, ანუ ქვის პერანგი, პირობითად წარმოადგენს ადამიანისა და გარემომცველი უსასრულო სამყაროს შინაგანი ინფორმაციის კაბას, ქვის ლოდს, ხოლო სვეტიცხოვლის შინაგანი სიღრმე, სადაც ასვენია მკვდარი ლახარე, ე.ი. ადამიანისა და კაცობრიობის შინაარსში (ბედისწერის წიგნში). გამოქვაბულში, მღვიმეში, ძინავს ლახარეს, რომელიც ქართული სამება-დამწერლობაზე, სამება-ენაზე და სახარებაზე ზიარებით ცნობიერი მკვდრეთიდან აღდგება. ადამიანისა და გარემომცველი უსასრულო სამყაროს ტანი წარმოადგენს გამოქვაბულს, მღვიმეს, სადაც სძინავს ლახარეს, რომელიც მოცემული ტანის სიკვდილით (ჯვარცმით) აღდგება. სულ არსებობს 49 სხეული და გამოქვაბული. ერთ-ერთი მათ შორის დედამიწის სავანეა. (ადამიანის სხეული მიწის, ხორცის ტანის გამოქვაბულში ძინავს ლახარეს - ქრისტეს მეგობარს, საიდუმლოს შემინახველს). მაშასადამე, ყველაზე და ყველაფრის შინაარსში ძინავს ლახარეს, სიცოცხლის მარადიულ ენერჯიას, დეითის სასუფეველს, რომელიც მარადისობის კანონის ბრძანებით (ქრისტეს ბრძანებით) აღდგება, ამიტომ გვეუბნება დვთაებრივი სახარება: „იესო კი კვლავ შეძრული შინაგანად, მივიდა სამარხთან. ეს იყო გამოქვაბული, რომელსაც ლოდი ჰქონდა



ამოფარებული. იესომ თქვა: „მოაშორეთ ლოდი“. მიცვალბეულის დამ მართამ უთხრა (მართაში იგულისხმება მგერული ენა და მოსეს მორთ რჯული): „უფალო, უკვე ვარს, რადგან მეოთხე დღეა, რაც დაგმარხეთ“ (მგერული ენის - მართას პირველობის დროს დამარხეს იბერიული კოდი ქართული ეთნოსის ცნობიერებაში). იესომ უთხრა მას: „განა არ გითხარი, რომ, თუ იწმინდები ღვთის დიდებას, აღდგება-მეთქი?“ ამრიგად მოაშორეს ლოდი (ამრიგად ან კიდევ ერთხელ...). იესომ თვალეები ადაპრო და თქვა: „მი-მამო, გამადლობ შენ, რომ მისმინე (ანუ გამადლობ სამყაროს მარადიული ინფორმაციის დოგმაზე...), მე ვიცოდი, რომ ყოველთვის მისმინე. მე მხოლოდ გარე-შემოკებილი ხალხის გასაგონად ვთქვი, რათა ირწმუნონ, რომ შენ მომავლიე. ეს რომ თქვა დიდი ხმით დაიძახა: „ლახარე გამოდი!“ გამოვიდა მიცვალბეული, ხელფხი სახვედრებით ჰქონდა შეკრული და სახეც სუღარით ჰქონდა შეხვეული (ანუ იყო გასაიდუმლოებული). უთხრა მათ იესომ: „გახსენით, გაუშვით იაროს“. (იოანე 11, 38-44).

ძვირფასო მეგობრებო, ლახარეზე ლოდი ქრისტეს ბრძანებით მოშორებულია, გაუშვით იაროს, ის ჯერ საქართველოს, შემდეგ კი მთელს დედამიწას შემოივლის და კაცობრიობას ქართულ ენაზე უქადაგებს სახარებას. - ამინ.

სვეტიცხოვლის მთავარი თექვსმეტსარკმლიანი წრიული სვეტი (კოსმიური ნავის მთავარი ანძა) დგას ქართული ასომთავრული „დ“ (დანის) და მხედრული „ი“ (ინის) ფორმის ოთხ საყრდენზე (ბუ-რჯ-ზე).

თექვსმეტსარკმლიანი სვეტი სიმბოლურად აჩვენებს, რომ დედამიწიერი ხორციელი ტანიდან ჯვარცმით აღდგება მზის (ო-16) კაცის პერანგი (ქრისტეს კვართი) და ამ უზენაესი კოსმო-ნავტიკის საიდუმლოს ავტორები არიან ქართველი ქურუმები, ამიტომ გვეუბნება დვთაებრივი ბიბლია: „უთხრა ფარაონმა იოსებს: აჰა, დამიდგენიხარ მთელი ეგვიპტის გამგებლად. წაიძრო ხელიდან ფარაონმა ბეჭედი

და გაუკეთა ხელზე იოსებს, შემოსა ზეზის სამოსელით და ოქროს ძეწკვით ჩამოკიდა ყელზე (ოქროს ძეწკვით უზენაესი სიბრძნისმეტყველება იგულისხმება). დასვა თავის მორთე ეტლზე და აცხადებდნენ მის წინაშე მუხლი მოეყარათ! (მხედველობაშია ძე ღმერთის, იესო ქრისტეს წინაშე მუხლის მოყრა. მორთე ეტლი-მეღმერთს). ასე დაუდგინა იგი განმგებლად მთელს ეგვიპტის ქვეყანას. უთხრა ფარაონმა იოსებს: მე ფარაონი ვარ (ფარაონი ანუ მზის კანონთა ღმერთი), მაგრამ უშენოდ ხელს ვერავინ განაძრევს მთელს ეგვიპტეში. უწოდა ფარაონმა იოსებს სახელად ცაფნათ-ფაყნასი და მისცა ცოლად ასენათი, ონის (მზის ქალაქის) ქურუმის ფოტიფერაყის ასული. და გავიდა იოსები



ეგვიპტის ქვეყანაში“. (დაბ. 41, 41-45). კოსმიური სვეტის გვირგვინში ზის მზის სხივებით გაკაშკაშებული მაცხოვარი იესო ქრისტე, რომელიც არის მზის ფარების წინამძღოლი და ცნობიერი მეფე სამყაროსი.

სვეტიცხოვლის ეკვდერის მარცხენა მხარეს ფუნქციონირებს ჭა, რომელიც ბიბლიური სასულიერო-საგანმანათლებლო ჭის სიმბოლოს წარმოადგენს: „დაიძრა იაკობი და წავიდა კელემის ძეთა ქვეყნისკენ (კელემი, კაცი ედემი ანუ საიდუმლო რელიგიის ქვეყანა - საქართველო). ხედავს ჭა არის ველზე და ცხერის სამი ფარა მის მახლობლად (მხედველობაშია სამება-დამწერლობა, სამება-ენა და სამი კლასიკური რჯული). რადგან ამ ჭიდან არწყულდებდნენ ცხვარს. მერე ისევე დახურავდნენ ჭის პირს ამ ლოდი. უთხრა მათ იაკობმა, სადაურელები ხართ, ძმებო! მიუგეს: ხარანელები ვართ (ხარანი ერქვა ლიხის მთის, ნუნისის აკადემიას). უთხრა: თუ იცნობ ლაბანს, ნახორის ძეს? მიუგეს: ვიცნობთ (ბიბლიურმა ნახორმა ქართული საიდუმლო რელიგიის სასულიერო აკადემია ურთას მთიდან ლიხის მთაზე ნუნისში გადაიტანა... ლაბანი ნუნავს დეითს წილს (ლა) ძე ღმერთის ქვეყანას (ბან) საქართველოს). უთხრა: ხომ მშვიდობითაა? მიუგეს: მშვიდობითაა (მ-შვიდობითაა ანუ მ-40 კოდს და შვიდი-შიდი მამამთავარს), აგერ, რახელიც, მისი ასული, ცხვარს მიჰყვება. უთხრა: ჯერ ხომ არ გასულა დღე, ადრეა საქონლის თავმოყრა, დაარწმუნეთ ცხვარი, წაასხით და აძოვეთ. უთხრეს: ვერ წავალთ, ვიდრე მთლიანად არ შეიყრება ფარა და ამ ლოდს არ გადააგორებენ ჭის პირიდან. მხოლოდ მაშინ დავარწმუნებთ ცხვარს“. (დაბადება 29, 1-8).

ბიბლიიდან და სვეტიცხოვლის ქვის კოდურ-ინფორმაციული წიგნიდან ნათლად ჩანს, რომ კაცობრიობის ცნობიერი დამრწმუნებელია ქართული სამება-დამწერლობა, სამება-ენა, სამი კლასიკური რჯული და გიორგიანულ-მეცნიერული მსოფლიო განათლების სისტემა.

ძვირფასო მეგობრებო, ქართველებო და ყველა ტომის შვილებო (დეითის შვილებო), ბიბლიური ნოეს სამსართულიანი სასულიერო კილობანი საქართველოშია, რომელსაც ქრისტეს სულიერ-გონებრივი და ხორციელ-გენეტიკური კვართი ეწოდება (ქრისტეს კვართი მცხეთაშია).

აი, ასეთია მეგობრებო, ქრისტეს კვართის მოკლე შინაარსი, რომელიც გრძლად გაიფიქრა ქართველ ქრისტიანთა სულიერი მისიის დაწვევის შემდეგ.

ვინც ცრუობს და საქართველოს სულიერი მისიის მნიშვნელობას აყალბებს, იგი ქრისტეს, სიმართლესა და ჭეშმარიტებას ჯვარზე ატყევეს, ამიტომ დაფიქრდით თეოლოგებო და მეცნიერებო...

მირიან ქართველი

„იმა ქედსა გარდავდექ, იგნი შემზნი მომეარნეს; ერთი ლომი, ერთი ვეფხვი შეკრბეს, ერთად შეიყარნეს, ჰგვანდეს რამე მოყვარულთა, მათი ნახვა გამეხარნეს, მათ რა უყვეს ერთმანეთსა, გამიკვირდეს, შემეზარნეს. „ქედსა გარდავდეგ, ლომ-ვეფხენი მოვიდეს ერთგან რებულნი; სახედ გამსგავსე მიჯნურთა, ცეცხლნი დამევენსეს დებულნი, - შეიყარნეს და შეიბნენ, იბროლეს გამწარებულნი, ლომი სდევს, ვეფხვი მიურბის, იყვნეს არ ჩემგან ქებულნი. „პირველ ამაოდ ილაღობეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს; თვითო ტოტი ერთმანეთსა ჰკრეს,





# რატომ იყურება აღმაშენებელი დასავლეთისაკენ?

(გაგრძელება მე-5 გვერდიდან)

ამასაც ვიტყვი: ზიუგანოვის წიგნი შემთხვევით არ დაუვიწყრებიათ მიხეილ შოლოხოვის პრემიის. ეს არის წიგნი განათლებული რუსეთის მართლმადიდებლობის ბედზე და სტალინიც იმითმე ვაყვანის მოსხენიებული. საინტერესოა მისეული ანალიზი ამერიკაზე, ამერიკელებსა და მათ ინტერესებზე.

ამ სიტყვებით მთავრდება ჩემს აუდიოკასეტაზე ქართული პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის 20 წლის წინანდელი ნაუბარი. არადა, ცოცხალი რომ იყოს, ორ დამატებით კითხვას აუცილებლად დავისვამდი. მათ შორის თუნდაც იმის შესახებ, თუ როგორ შეაფასებდა იმ ფაქტს, რომ ჭეშმარიტად გენიალური ქართველი მოქანდაკის, მერაბ ბერძენიშვილის აღმაშენებლად ხობილი და ვითომ მეოთხე ბაგრატიონის ძეგლის ნაცვლად ყოფილ „რესპუბლიკის“ ამჯერად კი „დამკვირვებელი ვარდების მოვანზე“ „მეგლად“ უკეთესი მონათესაე შეკოწიწებული ველოსიპედი წამოჭიმული. და კიდევ ერთი კითხვა: როგორც თბილისიდან, ისე ქუთაისიდან რატომ იცქირება „ვარდოსანთა“ მიერ აღვიწყრებული აღმაშენებელი დასავლეთისაკენ, როცა მას შემდეგ, რაც ბაგრატის ტაძარში მეფედ ეკურთხა, მხერა მუდამ თბილისისკენ ჰქონდა მიპყრობილი?

## ალექსანდრე შენბელია

### 306 ალაღინა ღვთისმშობლისა და მისი შვილებისა

იმ დაუვიწყარ წუთებში, როდესაც საქართველო თბილისის 1500 წლისთავისთვის ემზადებოდა, საგანგებოდ ამ თარიღისათვის დაბადებული გახეთის – „თბილისის“ ორი



ახალბედა კორესპონდენტი – მე და ოთარ დიაკონიძე ორი დღით სამ ქალაქში მიგვაკვლინეს – ჭიათურაში, ტყეშელაშლა და ქუთაისში. ასე გავეცანით ავტოქარხნელი იოსებ ხახარაძეს, რომლის „ხუთიანობის წამწკრივებული სამიანობით“, ანუ, აღამაინურ ენაზე რომ ვთქვათ – ყოველდღიური გეგმის 333 პროცენტით შესრულებით – თავს იქონებდა საზარდოსა და ქალაქის იმდროინდელი ხელმძღვანელობა. ტყეშელაშლაში შეხვედით ლეკენარული მასტის უფროსს ვალაბუყეშა და მის გუნდს, ჭიათურაში კი ზემოიშვილმა ივანე ივანოვი ივანოვი, რომელიც, ვიდრე იმას აგვისხნდა, თუ თავისი შრომით რა შავ ქვას აძლევდა საბჭოთა კავშირს, ლომონოსოვის უნივერსიტეტიდან გამოყოფილი რუსული მოსაუბრე ჩემი კოლეგის შეკითხვას: „კაკ ვას ველიაიუტ?“ – უპასუხა: „ბოში, რა ვიცი მე მაგდენი რუსული? თუ დმურთი გვამს, ქართულად მელაპარაკებო“.

რატომ გამახსენდა? როგორ შეიძლება, რაც არ უნდა საჩქარო საქმე გქონდეთ, ჭიათურიდან ჯერ ტყეშელაშლაში, იქიდან კი - ქუთაისში მიმავლებს გზად გელათს არ მოგვინახულებინა? იმ დროს აქტობრივად დამშრალი იყო ის წყარო, რომელიც მონასტერში აღმაშენებლის დროიდან მოედინებოდა. – იმედო ვაქვს, მალე აღადგენენ. – გაგვანდო საიდუმლო მეუფე ნაომმა. მისი ქალიშვილი – თამარი ქუთაისში ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, მეუფე ჩვენს ქუჩაზე ხშირად ჩამოვივლიდა ხოლმე, თითოეულ შემხვედრს დაგვლოცავდა და მქონდა ბედნიერება, რომ მასთან რამდენჯერმე მოკრძალებით მეზაუბრა კიდევ. მით უფრო, რომ მისი ვაჟი ოთარ შავიანიძეც ჩემი მეგობარი გახლდათ. – ამ ცოტა ხნის წინათ გელათში სტუმრების თანხლებით ბატონი ვასილ მუხანაძე გვეწვია და დაგვიბრდა, თბილისის იუბილის დღეებში და ვითის წყაროსაც მივხედავთო. – ვითხრა მაშინ მეუფემ. წყაროს აღდგენის შემდეგ არაერთხელ ვწვევიარ გელათს და უამრავჯერ შემიხვამს

დავითის წყაროს წყალი, მაგრამ დიდხანს, ძალიან დიდხანს არ ვიცოდი, ვისთვის უნდა მეთქვა მადლობა, რომ დმურთის შემადგენ ბინა, ის წყალი დამეგემოვნებინა, რომელსაც გელათში დავით აღმაშენებელმა მიუჩინა მარადიული ადგილი, რათა მწყურვალნი დაერწყუნებინა.

ახლახან ჩემი მეგობრის, ქუთაისის საპატრიო მოქალაქის, ბატონ ოთარ ჩიხლაძის პირად არქივს ვთვალიერებდი და სრულიად შემთხვევით შევიტყვევ, რომ დავითის წყარო მისი ადგილზე იყო.

როგორ და რა პირობებში მოხდა აღდგენა?

უადრესად თავმდაბალ აღამაინს, ვისაც ქალაქმშენებლობისათვის უამრავი სიკეთე აქვს ნაკეთები, იმის თაობაზე თუ რა ვითარებაში და როგორ უმკურნალა დამშრალ წყაროს, ძლივს ვათქმევინე ორიოდე სიტყვა, რომელიც მერე ჩემი კატეგორიული მოთხოვნით ფურცელზეც გადავტანინე და დღეს იმ მიზნით ვაქვეყნებ, რომ „მსაჯული მართლად სჯიდეს“ და წამკითხველ-განმკითხველმა სათანადო პატივი მიავსოს კაცს, ვინც დამშრალ წყაროს სიცოცხლე დაუბრუნა.

აი, ისიც, ბატონი ოთარ ჩიხლაძის მოგონების ერთი ფურცელი.

„1958 წლის ზაფხულში ქუთაისის“ წყალკანალიზაციის სამსახურში სამონტაჟო უბნის უფროსი ვიყავი და ქალაქის წყალმომარაგების კანალიზაციის სამსახურში სამსახურის ვასრულებდი. ერთ დღეს ტრესტის დირექტორმა, ცნობილი პოეტის ოთარ მამფორიას ძმამ, ბატონმა მიხეილმა გამომიძახა და მიითხრა: სასწრაფოდ უნდა ვახლო ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივან ემირ ტაკიძესო. ეს კი გადმომცა, მაგრამ რა მიზნით მიბარებდა, არ უთქვამს, რადგან, როგორც ვვარაუდობ, თვითონაც არ იცოდა.

ასეთ დიდ თანადებობის პირთან დაბარება ჩემთვის პირველი შემთხვევა იყო და დაუყოვნებლივ გამოვეცხადე. ქალაქის იმდროინდელი თავკაცი რაღაც თაბორს ატარებდა და მისი დამთავრებისთანავე დაუყოვნებლივ მიმიღო. გამომიკითხა ბიოგრაფია, შემდეგ კი მეუბნება: ამასწინათ ვასილ მუხანაძე სტუმრობდა გელათის სამონასტრო კომპლექსს და უკმაყოფილება გამოთქვა, რომ წლების განმავლობაში წყარო დამშრალი იყო. დავავლე მშენებლებს, აღედგინათ წყალმომარაგებო, მაგრამ რომ ვერ შეძლეს, ეს თვითონვე აღიარეს და დღეიდან ამ საქმეს შენ უნდა მიხედო.

უუპასუხე: მდგომარეობას არ ვიცნობ, ჩავალ გელათში, მდგომარეობას ავჯილხე შევიწვავი და, რა შეიძლება გაკეთდეს, ამის შესახებ მოგახსენებთ-მეთქი. იქიდან გამოსული ჩემი მოტოციკლით დაუყოვნებლივ ვეწვიე გელათს, დეტალურად გავეცანი როგორც წყალმომარაგების მთლიან სისტემას, ისე უკვე დაწყებულ აღდგენით სამუშაოებს და დავრწმუნდი, რომ არასწორად, გაუხარებლად მიმდინარეობდა: გავესაუბრე მონასტრის თანამშრომლებს მიხეილ ნიკოლეიშვილს, იაკობ ფუტკარაძესა და იქვე მცხოვრებ დაცვის მუშაკებს – ნიკოლოზ და კონსტანტინე ჯანგაძეებს, რომლებმაც შექმნილი ვადაგვარადა აღწერეს მონასტრის წყალმომარაგების სისტემა და განაცხადეს, რომ წყარო უკვე რამდენიმე ათეული წლის დამშრალიაო.

ჩემს მასპინძლებს ვთხოვე, ეჩვენებინათ ის ადგილი, საიდანაც წყალმომარაგება ხორციელდებოდა. როგორც კი ამ ადგილი მაწინაშე ავაცადეთ, ლითონის ხუვი გამოჩნდა, მის ქვეშ კი – მოხრდილი კერამიკული ჭის მსგავსი კედლებდახეთქილი საცავი, რომელშიც წყალი ვეღარ გროვდებოდა.

ბალახოვანი გამხმარი მასით მთლიანად გაბინდული იყო საცავიდან წყარომდე ჩაწობილი მილებიც და მათი გაწმენდაც ბევრ რთულ პრობლემას ჰქმნიდა. ყოველივე შემთხვეული ქალაქის ხელმძღვანელს მოვასხენე და წყაროს აღდგენისათვის ორი თვე ვითხოვე. მან ვადა ერთი თვით თვითონ გამიხანგრძლივა, თანაც დამპირდა, წყაროს აღდგენას სათანადოდ აღვნიშნავო.

მეორე დღესვე შეუდგე მუშაობას, რაც, როგორც ვვარაუდობდი, უმძიმესი გამოდგა. საცავში ტემპერატურა 10-12 გრადუსს არ აღემატებოდა. ეს მაშინ, როცა გარეთ ნამდვილი პაპანაქება იყო – 38 გრადუსამდე. შემოღებულ იქნა წყალი ხელს მიშლიდა ნაპრალების ამოხსებაში, რომლებიც ჯერ გაფისული მენებით უნდა ამომეტყვნა, სარჭითა და ჩაქვიანი ჩამეტვიფრა, ბოლოს კი ხელით დამუშავებული ცემენტარევი ქვიშის ცოშით დამეფარა. ეს ყველაფერი განსაკუთრებით ძნელი შესასრულებელი იყო, რადგან საცავის სივიწროვის გახლო სხვისი დახმარება წარმოუდგენელი გახლდა და ყველაფრის გაკეთება თვითონ მიხდებოდა.

პირობები მართლაც რომ გაუსაძლისი იყო. ტანსაცმელი მალე სველდებოდა და ყოველი 2-3 საათის შემდეგ საცავიდან რომ არ ამოვსულიყავი და მზეზე ძვლები არ გამებობო, აშკარად გავიყინებოდი. სამუშაოთა მიმდინარეობისას კმელ ტაკიმ რამდენჯერმე მომიხაზულა, ორი თვის შემდეგ კი, როდესაც ჩემი დაპირებისამებრ წყალმომარაგების სისტემა საბოლოოდ აღდგა და ამის სათქმელად საქალაქო კომიტეტს თავად ჩავაკითხე, იგი უკვე ვეღარ ენახე: სამუშაოდ თბილისშია გადაყვანილი, მითხრეს. \* \* \*

ასე მთავრდება მოგონების ის ფურცელი, რომელიც ბატონმა ოთარმა ჩემი თხოვნით დავითის წყაროს აღდგენას მიუძღვნა. მასში არაფერია ნათქვამი არც მაგანთა უმადურობაზე და არც იმის შესახებ, რომ ამ უმძიმესი სამუშაოს შესრულებისათვის სახელაურად კაპიტიც არ მიუღია.

რას იზამ? არა მარტო მაშინ, ასეთი იყო და დღესაც უხშირესად ასეთია ზნე და ხასიათი ძლიერთა ამა ქვეყნისათა. რაღა, ბებური ხარისა რკინიგზის კვანძი რომ ხნავენ, ბატონი ოთარ ჩიხლაძის მაგალითით ერთხელ კიდევ დადასტურდა: რვა თვის წინათ, წლებიანდელი ახალი წლის დამდეგს, ფრიად საპატიო ასაკის მიუხედავად, იგი ქუთაისის მერის მრჩევლად დაინიშნა.

ბოლომდე ზუსტად არის გათვლილი ქალაქის დღევანდელი ახალგაზრდა თავკაცის, მრეწველთა გამორჩეული ოჯახის უმრწემო წარმომადგენლის, ბატონ შოთა მურდულიას ეს საკადრო გადაწყვეტილება. ქუთაისის ოთარ ჩიხლაძის ცოდნა და გამოცდილება სამიერვე აღდგენილ ანკარა წყაროსათვის ესაჭიროება.

**იდეების ბანკი**  
**როდის ვიდგენს წყალთა დავითობა?**  
**ყურადღება: წინადადება!**  
ვაუაზხოზო ნაწვევებს დიდი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „დალი“ რომელიც შესულია ბატონ კარლო ინასარიძის მიერ 1984 წელს მიუხეხნში გამოცემულ კრებულში „გრიგოლ რობაქიძე“. ვფიქრობ, ძალზე საინტერესოა ამ ამონარიდის მინაწერში გამოთქმული წინადადება, რომ რადგან დავით მეთხე ბაგრატონის მეფეთა უკრთხევა ქუთაისში, ბაგრატის ტაძარში 1121 წლის 14 აგვისტოს მოხდა, ერის დიდი მამის – დავით აღმაშენებლის დღესწორედ 14 აგვისტოს ვიდგენს წყალთა, ალექსანდრე შენბელია

**დიდი დედა**  
(რომანიტიზან „დალი“)  
აღდგომისპირველ კვირას, რომელი „ახალკვირად“ არის საქართველოში ხობილი, უშუალოდ ქალნი, ყველა დაქორწინებულინი, ქალთა რიტუალის ასასრულებლად გაემართენ. გადმოცემით, ბევრი რამ ამ რიტუალისა სვანეთში ვაგებმა არ იციან. ძველთაძველი საიდუმლო „დიდი დედის“ თავგანებისა ქალებს ფარულად შეუნახათ. სალოცავად მიმავალ ქალებში თანბის დედაც ერთა, მინადირის.

მიდიოდნენ ნელი ნაბიჯით. იყვნენ მღუმარენი, უთქმი სიტყვით აყვანილნი. ვიდრენენ: ესრდებოდნენ ერთი-მეორეს შინაგან. ული ერთისა ნათელი ფთქვით ეხმინებოდა გულსა მეორესა. ორნა მიხედვილთვალთ მიმავალთა სათნოების ციალი ეფინებოდა. სცილდებოდნენ ყოფას ყოველდღიურს. შხის დახრისას მიადგენენ მიმავალნი ერთს მოხრდილ ბორცვს, ათასწლოვანი ხეებით გარსმთვლებულს. შეჩერდნენ. იღვა მუდროვანა, მხოლოდ ხანდახან ფრინველის ფრთქალი ფოთლებში აფრთხობდა ფრთადაშვებულ სინუმეს. ილაგდნენ ნამეხარი მუხის ქვეშ. სიტყვა არც ახლა წასცდენია რომელიმეს. ხის ფულურს წინ გაჩაჩაღეს ცეცხლი. ამოიღეს ჩანთიდან პურის ცოში და ყველი, მოხილეს კვერებად და შეუდგნენ ცხობას საწირველისა. გამოაცხვეს ექვსი კვერე: სამი დიდი, სამი მომცრო.

შეჯავრდნენ, შემტკიცდნენ, გაირინდნენ. იღვენ რამდენიმე წუთი განაბულნი, შემდგომ პირი ჰქმნეს მიმართ გადმისა. გამოჩნდა სალოცავი ქალწულ მარიამისა: „ლამარია“. შეირხენ. ამართეს სამი დიდი კვერი და შესწირეს ღვთისმშობელს უსიტყვო ვედრებით; ლოცვით.

ორიოდე წუთი კიდევ ახლა სამი ქალი გამოეყო მწირველთ. სენი ყველაზე ხნიერი იყვნენ. სამში ერთი თანბის დედა იყო. გაემართნენ იღუმალ აღვილისაკენ: „დიდი დედის“ მიმართ, რომელი უხნიერესია დმრთის ძის დედაზე. წაიდეს თან სამი მომცრო კვერი, თავიღის სათნობე და ერთი დიდი აღვივებული ნაკვერჩხალი.

უსიტყვო, შენელებული სვლით მიეხლენ რჩეულნი იღუმალებიტ მოცულ ადგილს. გაფურცოვებული ხეების გვერდით ერთ ალაგს ხვრელი იყო უცნაური, ნიადავის ჩაღრმავებით ქმნილი. ჯურღმული მიყვა-

ნილობით დიდს ზუმელს გავდა. აქიპ ბრტყელნი ქვანი: შესაძლოა ნატეხნი წარმართული ნიშისა, ძველიძველის. ზოგი ქვა ხავსმოკიდებული იყო, ზოგი დახირსველული. სირსვილი წარწერასავით იხაზებოდა, დროთა ვითარებაში წარშლილისა. ქ დრო აღარ იყო: სუფევდა ზესთადროული.

დედებმა მოიყარეს მუხლი „ზუმელის“ წინაშე კდემით. დააგდეს მის გნედზე ნაკვერჩხალი და ზე სათნობის ნატეხნი დააყარეს. ერთმა ქალმა – ეს თანბის დედა იყო, სამხვერპლო აქტის ამქმელად რჩეული – სული დაჰბერა უკვე მოფერვლილ ნაკვერჩხალს. თვითიული მათგანი ლოდინით იყო დაძაბული: ანთებოდა თუ არა თუ ვინდ ერთიც სათნობის ნატეხნი. ანთებოდა – ეს იქნებოდა ნიშანი მსხვერპლის მიღებისა „დიდი დედის“ მიერ.

უკან დარჩენილ დედებსაც ჰძაბავდა მძაფრი ლოდინი: განრთხმულ იყვნენ მიწაზე და ეკვროდნენ ერთმანეთს ვითარ დაფრთხობილნი ნიამორნი. მიწა, დედა იდქმედა მათს გზნებას და მოჰქონდა იგი წირვასი აგზნებულთა მომართ, ქვეყნის მატებდა ეს ძალა მწირველ დედებს.

უეცრად ჩრდილი მოელო არეს. შეკრთნენ სამნი. ახედეს მალა, ზრქელი დრუბელი იფინებოდა. განვლო დრუბელმა: გაიწიქა ჩრდილი. ვლავ ახალისდა ცხრაოთე მზე, ხალასი. შემკრთალთ გულს მოეშვათ – ხოლო ლოდინი კიდევ უფრო გაუმძაფრდათ.

ჩაჰბერა სული მეორველ ამქმელმა ნაკვერჩხალს. ანთო ერთი ნატეხი სათნობისა. მალე დაემხვენ დედეები ნეტარებით. ალაპყრეს მალა ხელნი. ხელში კვერი ეჭრა თვითიულს. იხმენ „დიდი დედა“ აღტინებულემა. გაიხმა ირველი გულისხმიერი ძახლი: „მოგვეც, მოგვეც სიმრავლე ვაჟოა!“ თანბის დედა გულში ამასაც უმატებდა: „შემატე, დედაო, ჩემს ძეს ძალა ვაჟისა!“

მოათავეს ზორვა. ვერებო „ზუმელის“ ჩაალაგეს: დაკრძალეს, ზე დიდი ქვა დაადვეს, ბრტყელი. სამჯერ მუხლი მოიყარეს. ამობრუნდნენ უკან უსიტყვო.

სხვები პირქვედამხობილ უცდიდნენ გამობრუნებულთ, ხმაამოუღებელიც. სცნეს თუ არა მათი მოახლოვება, წამოდგნენ წამსავე და ერთხმად შეეგებენ: „გაგმარჯვებით მიწის სალოცავის ლოცვა!“ „თქვენც ვაგმარჯვებით!“ მიუგეს დაბალი ხმით დაბრუნებულემა. ადაეხვიენ ერთმეორეს, დაკოცნეს ერთმანეთი.

დასხდნენ, ივამეს სამხვერპლო ნაცხობი. იხდნენ დაყურსულნი. ჰხარობდა ტანი ქალობით. სიტყვათაც იმატა. ელინდეს. წამოდგნენ ახალისებულნი და შევებით დაეშვენ სოფლისაკენ. „დიდი დედა“ უშეუღლს უბეში იხტებდა.

## ბრიბოლ რობაქიძე

(„დალის“ გერმანული ტექსტი წიგნად 1934 წელს სხვა სათაურით დაიბეჭდა) ავტორისეული მინაწერი: „დიდი დედა“ – „მაგნა მატერ“ ცნობილია ყველგან. „დედა“: ივლისისხმება ქალური თაური მსოფლიოსი. რა მგონია, რომელიმე ხალხს ეგზნოს ეს თაური ისეთი სიღრმით, როგორც ქართველებს. „დიდი დედას“ სვანთა ესიტყვა „აღვილის დედა“ ხევესურთა: როგორც ასული დედას.

გვეყვას სამი დედა: წმ. ნინო, მეფე თამარ, დელოვალი ქეთევან. თვითიული მათგანი თავისებურ ასახიერებს ქალურ თაურს. ნინომ დამენა საქართველოს ხის ტანში ქრისტეს სჯულს – ხე იქცა ნამყენით „ხელ სიცოცხლისა“. თამარმა განაწინა შარავანდით ხელმწიფება ქართველთა, დგინებული დავით აღმაშენებლის მიერ. ქეთევან ეწამა ნაქმისათვის როგორც ნინოსი, ისე თამარისა. მ სამის ერთობის მუხლში მოქცეულია უმრეტე ენგავი ქართველთა ყოფისა.

ნინოს ვიგონებთ იანვარში: „კალენდარულად“. თამარს – მაისში, როცა მიწვეულნი ვართ რომელიმე თამარ – რქმეულთან; ქეთევანს არც ისე ვახსენებთ და არც ასე დაგვიწვიება.

სასურველია, ეს სამი – ნინო, თამარ, ქეთევან – ერთად მოვივლოთ: მოვივლოთ ფესვებით. დღესასწაულისთვის მე ვირჩევდი რომელიმე დღეს მწიგნობისთვის. თაოსნად აქ. მგონია, პარიზის ქართველთა სათვისტომო უნდა გამოვიდეს.

მესმის შეკითხვა: „ამათა“ შორის ვინ ვიდგენსასწაულით? ჩემი პასუხი: ყველაზე წინ დიდი მეფე, აღმაშენებელი დავით (სხვებზე შემდეგ ვიფიქრებთ). დღევ მისი კულტისა არჩეულ იქმნება აგვისტოს 14: ამ დღეს იქცა იგი, 1121 წელს „ხელმწიფედ“. ამ სახელდების კარდუს გაგებით მოიგონებენ თანამემამულენი.

**ბ.რ.**  
**ალექსანდრე შენბელია,**  
**საქართველოს დამსახურებული ყურნალისტი, ქუთაისის საპატრიო მოქალაქე**

# როგორ სჯიდნენ ძველ საქართველოში



ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახეს ცნობები ქვეყანაში ადამიანის დასჯის სხვადასხვა ფორმის შესახებ. ძველ საქართველოში დასჯის ორგანიზაციის გამოიყენებოდა: ფიზიკური და გამაწმინდებელი სასჯელი.

ვარსკენის მიერ შუშანიკის საპრობილეში ჩასმის ცალკეული დეტალის აღწერისას ჩანს, რომ საპრობილეში მოთავსებულს სჯიდნენ ქედზე ჯაჭვის დადებითა და ფეხებზე ბორკილის შემთხვევაში. შუშანიკს "ჯაჭვ იგი, რომელ ედგა ქედსა მისა ზედა, ვგრეთვე ედგა, დაჰბეჭდა ურჩულობან ვარსკენ" - გადმოგვცემს იაკობ ხუცესი. ჩორს წასულ პიტიახში პერეთის სახლვარზე წამოეწევა მისი ძმა ჯოჯიკი "და ევედრებოდა მას ფრიად, რათამცა ბრძანა საკრველთა მათგან განტეგებაი მისი". ჯოჯიკის დიდი ხეწინის შემდეგ ვარსკენმა "ბრძანა განტეგებაი საკრველთაგან ოდენ. და ვითარ მოვიდა ჯოჯიკი, აღჰხანდა ჯაჭვი იგი ქედსა მისსა, ხლო ბორკილთაი არა თავს-იდგა წმიდამან შუშანიკ". მოგვიანებით ამ ბორკილის გამო ეპისკოპოსნი და აზნაურნი ევედრებიათ შუშანიკს, "რათა ბორკილი იგი ფერხთაი ბრძანოს საცოდ და ნაკურთხევად ყოველსათვის". აქ ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი უძველესი დადასტურება წმინდანის კულტის გამოვლინებისა, როდესაც მის მიერ ნაქონი ნივთები ამ შემთხვევაში მისი წამების იარაღი, მიხნეულია როგორც სასწავლო მკვლელობის, მცველი და მაკურთხებელი ყოველთა.

ქედზე ჯაჭვის დადება და ფეხებზე ბორკილის შემაღ, როგორც დასჯის ერთ-ერთი ფორმა, ასევე გვხვდება "ევსტათი მცხეთელის მარტილობაში". საერთოდ ეს ნაწარმოები გამოირჩევა დასჯის სხვადასხვა ფორმის აღწერით, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ ევსტათი და სხვა მისი თანამზრახველები, რომლებიც ქრისტიანობაზე მოიქცნენ, მიიყვანეს მსაჯულთან, ხლო მან "უბრძანა მსახურთა თვისთა პირსა ცემა ნეტართა მათ და გარე განყვანება ყოველთა და უბრძანა: და ჰყენეთ მაგათ თავი და წუერი და განუხურბენით მაგათ ცხვირი და ჯაჭვ დადევით ქედსა მაგათსა და ბორკილინი შუშანიკით ფერხთა, და შესხენით ეგენი საპრობილეას".

ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ადამი-

ანთა ჯაჭვით დაბმა, როგორც მართლმსაჯულების აღსრულების ერთ-ერთი ფორმა და, მასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული ფაქტორები.

ჯაჭვით ადამიანთა დაბმის შესახებ ქართულმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ მრავალი ფაქტი შემოგვინახა. აღსანიშნავია, რომ ადამიანთა დასაბმელი ჯაჭვები სტრახონის მიხედვით, ძვ.წ. I საუკუნისთვის აღბანელთა ყოფაშიც დასტურდება. ამ ფაქტის ანალიზის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილმა წარმოადგინა აღბანელთა წარმართული რელიგიისთვის დამახასიათებელი წესები. კერძოდ, აღბანელები თავიანთ სცემდნენ შხეს და მოვარეს, რომლის მთავარი ტაძარი, თურმე, იბერიის მახლობლად მდებარეობდა. მეფის შემდეგ ყველაზე პატივცემად ითვლებოდა ის, ვინც ტაძარს ემსახურებოდა; იგი განაგებდა ხატის დიდსა და მჭიდროდ დასახლებულ მამულს და ითვლებოდა ხატის ყმების უფროსად. ხატის ყმებს შორის ბევრი ქალაგი დაეკუთვნა, წინასწარმეტყველებდა. მათ შორის ბევრი - წინასწარმეტყველებითა და ქალაგებით ზედმეტად გატაცებულნი, ტყვეებში მარტოკა დახეტიალობდა. ქურუშები მათ იტყუდნენ, კისერზე ჯაჭვს დაჰკიდებდნენ და ერთი წლის განმავლობაში ზვარაკად ასუქებდნენ. ხოლო შემდეგ მათ - უკვე ამ გზით მორიგცხებულებს, სხვა სადმერთ შესაწირავებთან ერთად ღმერთს შესწირავდნენ.

საერთოდ ჯაჭვს, როგორც მართლმსაჯულების იარაღს ან როგორც რიტუალურ ნივთს, ან კიდევ როგორც სულით ავადმყოფთა სამკურნალო მაგიურ საგანს შორეულ წარსულში მიუძღვნა სავსებით დეტალური აღწერები. მისი სხვადასხვა ფუნქცია მითებსა და თქმულებებშიც აისახა. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი მითში ამირანის შესახებ, სომხურ გადმოცემაში მეფე არტავაზდის შესახებ და სხვ. ეს გადმოცემები, როგორც ვიცით, გვაუწყებენ, რომ როგორც ამირანი, ისე არტავაზდი ღვთის წინაშე ურჩობისთვის ქედზე იყვნენ მიჯაჭვულნი.

სანამ უშუალოდ დასჯის სხვა ფორმებს შევხებოდეთ, "შუშანიკის წამებაში" დაცულ ადრინდელ ფაქტთან დაკავშირებით, საინტერესოდ მიგვაჩანია აღნიშნული შემდეგი: შუშანიკის ზნობრივი შეხედულებებისა და მორალური მრწამსის დასახასიათებლად განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ქმრის ასეთ, შეიძლება ითქვას, მდაბიურ სასჯელს (ქედზე ჯაჭვის დადებას და ფეხებზე ბორკილის შემაღს, ამასთან, რამდენიმეჯერ ცემასა და მიმორთევას), ის უპირისპირებს ზეციურ სამართალს და იმკვიწყრად მოელის მასა და ქმარს შორის სამართლის მოპოვებას: "განვისსაჯეთ მე და ვარსკენ პიტიახში მუნ, სადა - იგი არა არა თულადება მსაჯულთა მის მსაჯულთათვის და მეუფისა მის მეუფეთათვის, სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი. სადა მე და მან სწორი სიტყვათ ვთქვათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა". აქ განსაკუთრებით საყურადღებოა შუშანიკის ამ სიტყვებში გატარებული იდეა მამაკაცისა და დედაკაცის თანაბრად განსჯის (ზეციური სამართლის) არსებობის შესახებ. მისი სიტყვები, გადმოცემული ნაწარმოების ავტორის, იაკობ ხუცესის მიერ "სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი", ეხმაურება პავლე მოციქულის სიტყვებს

ეპისტოლეში გალატელთა მიმართ. "არა არს პურიება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება. არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუს მიერ".

ამრიგად, იდეამ მამაკაცისა და ქალის თანასწორობის შესახებ, რომლის დასაბამს სადმერთ წერილში ვპოულობთ და რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის უმაღლესი აყვავების პერიოდში (XII-XIII სს.) წამყვან საზოგადოებრივ შეხედულებას წარმოადგენდა, დასრულებული გამოხატვა "ვეფხისტყაოსანში" მიიღო, ("ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყო, თუნდა - ხეადია"), ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში ჯერ კიდევ "შუშანიკის წამებაში" ასახული და შუშანიკის ზემოთ მოყვანილ სიტყვებშიც ჩანს, ოღონდ ამ იდეის განხორციელების შესაძლებლობა გადატანილია იმ ქვეყანად.

"ევსტათი მცხეთელის მარტილობის" ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდან, აგრეთვე ამ ნაწარმოების სხვა ადგილებიდან ჩანს, რომ იმ დროს საქართველოში სპარსეთის მიერ, ქედზე ჯაჭვის დადებასა და ბორკილების შემაღს გარდა შემოღებული იყო დასჯის სხვა ფორმებიც: თავისა და წვერის დაყუენა (ანუ მოპარსვა), ცხვირის გახურება, პირის ცემა. არვანდ გუშანაშამ, ქართლის მარზპანმა, - გადმოგვცემს მარტილობის ავტორი, - "უბრძანა მსახურთა თვისთა პირისა ცემაი ნეტართა მათ" - ქრისტიანობაზე მოქცეული სპარსელებისათვის.

დამნაშავეს დაპატიმრებას, მის დაჭერასა და ამ მდგომარეობაში ყოფნას, როგორც "ევსტათი მცხეთელის მარტილობიდან" ჩანს, "პყრობილებაი" ეწოდებოდა: "ამისა კაცისა პატივი მე არარაი ხელ-მეფიების, არცა აღბმაი ძელსა, არცა პყრობილებაი", - ამბობს მცხეთის ციხისთავი უსტატი და ევსტათისა და სხვა ქრისტიანობაზე მოქცეულ სპარსელებს თბილისის გაგზავნისას.

"ქოსტანტი კახის" მარტილობიდან კი ჩანს, რომ დამნაშავეს, პატიმარს "საპრობილეში" მოათავსებენ. ჯაფარის, თბილისის ამირის, ბრძანებით ქოსტანტი ჩასვეს "საპრობილეას ფიცხელსა", სადაც მას მიუწინეს ორი ღმერთი ერისთავი, რომლებსაც რჯულით (ქრისტეანობა) უარუყვითა, ემსახურებოდნენ ჯაფარს და ცდილობდნენ ქოსტანტის გადაბირებასაც.

საინტერესოა, რომ გარდა ჯაჭვის ქედზე დადებასა, შეპყრობილის რკინის საკრველთა შეკერაც ცნობილია. ქოსტანტი კახის შესახებ მის მარტილობაში აღნიშნულია, რომ იგი, "შეკრეს ფიცხელითა საკრველითა რკინისითა და წარსცეს იგი ქუეყანად ბაბილონისა, ქალაქსა, რომელსა ჰრქვან სამარაი".

"ევსტათი მცხეთელის მარტილობიდან" ისიც ჩანს, რომ დასჯის ერთ-ერთი ფორმა ყოფილა "ძელსა აღბმაი".

ჩვენ მიერ წარმოდგენილი დასჯის ფორმები ფიზიკურ სასჯელს განეკუთვნება. მაგრამ ამასთან ერთად, როგორც იგივე წერილობითი წყაროები მოწმობენ, არსებობდა გამაწმინდებელი სასჯელიც - ვირზე შესმა და შეიძლება მასვე მივაკუთვნოთ ზემოთ დასახელებული თავისა და წვერის მოპარსვა.

"შუშანიკის წამებიდან" ჩანს, რომ ქმრის მიერ ცოლის დასჯის ერთ-ერთი ფორმაა მისი ცასახლება. მკვლევართა ერთი ნაწილის შეხედულებით - მისი მშობლების

სახლში უკან დაბრუნება. ვარსკენი შუშანიკს ემუქრებოდა თუ "ტაძრად" (ე.ი. სამთავრო სახლში) არ მოხვალ, "ჩორდ წარცვ შენ ანუ კარად კარაულითა". გამოდის, რომ ვარსკენი შუშანიკს კარაულით, ე.ი. სახედარზე შესმით გაგზავნას ემუქრებოდა. ნაწარმოების ამ ეპიზოდში მინიშნებულია, შეიძლება ითქვას, დადასტურებულია ჩვენი წარსული ეთნოგრაფიული სინამდვილისთვის ცნობილი ფაქტი - ქმრისგან უარყოფილი ცოლის მშობლების სახლში დაბრუნება სახედარზე შესმით.

ცნობილია, რომ სახედარზე, ანუ ვირზე შესმა ძველ საქართველოში მიღებული იყო, როგორც დასჯის, გამაწმინდებელი სასჯელის ერთ-ერთი სახე. ის ცნობილი იყო ბიზანტიელთა ყოფისთვის და ქართული სინამდვილისთვისაც. ასე მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულში "სამართალი ბერძნულის" მიხედვით ვირზე შესმა არის დასჯის ერთ-ერთი სახე სხვადასხვა დანაშაულისთვის: მოსამართლის მიერ უსჯულის კანონი სამართლის ქინისათვის (მუხ. 2), მსაჯულის გინებისათვის (მუხ. 56), წამლის მიცემით დედაკაცის მუცელში შეიღის მოკვლისათვის (მუხ. 77) და სხვ. ვირზე შესმას გამაწმინდებელ სასჯელად მიიჩნევენ აკადემიკოსი ისიდორე დოლიძე. ვირზე უკუღმა შესმამ და ასეთი სახით სოფელ-სოფელ ჩამოტარებამ, როგორც ქმრის მოღალატე ცოლის დასჯის, მისი გაწმინდების ფორმამ ასახვა პოვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

"კვირანა ძალი შუშანა შამსვათ შირზმა"

ახლაც მაგონდება იმ ქალის კუნთების თრთოლა, ეტყობოდა, სციოდა, სცხელოდა და იგმირებოდა, აღბათ, ენატრებოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი არსად ჩანდა და მისი ტანჯვა კი ძნელი იყო, ვითარცა სიკვდილი!

იმწამს იგი ათჯერ მოკვდა, ისევ ათჯერ ძალით აცოცხლებდნენ..

თრთოდნენ ქალის ანგელოზი მხრები და ბრო კი ტალახსა და საქორღის ფუნას ესროდა თეთრ პერანგზე, რომელსაც თანდათან ფერი ეკარგებოდა - კვითხულობთ გიორგი ლეონიძის მოთხრობების კრებულში "ნატერის ხე".

აქვე გვიჩვენა აღვნიშნოთ, რომ ამ სახის სასჯელს ასევე სხვაგანაც ვხვდებით ქართულ წერილობით წყაროებში. კერძოდ XI საუკუნის საისტორიო თხზულებაში "მატიანე ქართლისაში" აღნიშნულია, რომ ისაკ ტოლობელის ძემ, მესხმა აზნაურმა, "დაიჭირა ხელითა და გასუა ჯორსა ფადლონ" - თბილისის ამირა, ამის წინ კი მოთხრობილია, რომ მან "გამარცხა ერი ფადლონისა და გარდაყარა ისინი ცხენებიდან".

ამრიგად, როგორც ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან ჩანს, ძველ საქართველოში გავრცელებული ყოფილა დასჯის შემდეგი ფორმები: 1. ძმეში ჯაჭვის დადება. 2. ვხეზუბი ბორკილის შემაღ. 3. თავისა და წვერის მოპარსვა. 4. ცხვირის გახურება. 5. ძმეში ალაბმა. 6. პირის ცემა. 7. ვხრუბილება. 8. ვამკვათი საპრობილეითა რკინისითა. 9. სახედარზე დასმა. 10. ვასახლება.

სიკვდილით დასჯის, თავის მოკვდის, დასახინრების შესახებ არაფერს აღვნიშნავთ, თუმცა კი მარტილობათა წიგნები დასჯის ამგვარ ფაქტებსაც გვაწვდიან.

ს. ჰანტუროვილი

## "პარლამენტის დაცვა ქვეპით დასდეს ბელებს" - ქუთაისში ქვეწარმავლებს ებრძვიან

(რაც პარლამენტში გველები სხედან, ისინი არ გვეყოფოდნენ?)

ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირზე, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლები ქვეწარმავლების შემოსევაზე საუბრობენ. ერთ-ერთი ქართული ინტერნეტსაიტის პურნალისტს ადგილობრივი მოსახლეობა დაუკავშირდა. მრავალჭირანხელი ქუთაისლები აცხადებენ, რომ გველებს უკვე საცხოვრებელ კორპუსებშიც იტყვენ.

"პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დაცვა დგას, ძალიან ბევრი ქვეწარმავალია. ბინაში ვიჭერთ გველებს, პარლამენტის დაცვა კი ქვეწარმავლებს ქვეპით დასდევს. გაუწმენდავია პარლამენტის მიმდებარე მთელი ტერიტორია და როგორც ჩანს, გველებს შესაფერისი პირობები აქვთ. სადამოს ვერიდებით პარლამენტის მხარეს გადახვლას," - აცხადებს მოსახლეობა.

ადგილობრივები ქვეწარმავლებთან ბრძოლაში დახმარებას ითხოვენ.

მსოფლიოს ავტორიტეტულ პერპეტუოლოგთა მტკიცებით გველები მრავალ მიზეზთა გამო მიწისწრაფიან ერთმანეთისაკენ. გამორიცხული არ არის, რომ ბიოლოგიური გველები პროტესტს გამოთქვავენ პარლამენტში მოკალათებული გველი-ნაციონალების მიმართ: "თქვენ თუ პარლამენტში სხედხართ და მხოლოდ იგვსლებით, ჩვენ რითი ვართ თქვენზე ნაკლები!"



## დავით საყვარელიძის წინააღმდეგ უპრაინის ბნ-პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა

უკრაინის დევნადური პროკურორის პირველი მოადგილის ვლადიმერ გუზირის დავალებით, სისხლის სამართლის საქმე აღძრა დანაშაულის ფაქტზე, რომელიც ჩაიდინა გენეროკურორის მოადგილემ დავით საყვარელიძემ. - ამის შესახებ "ფისბუქს" საკუთარ გვერდზე პურნალისტი ვლადიმერ ბოიკო წერს.

საქმე ეხება 2015 წლის 5 ივლისს დავით საყვარელიძის მითითებით ჩატარებულ ჩხრეკას კიევის ოლქის პროკურორის მოადგილის, ალექსანდრე კორნიცასა და უკრაინის გენეროკურორის მთავარი საგამომიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ვლადიმერ შაპაკინის კაბინეტებში. პურნალისტის ინფორმაციის თანახმად, ჩხრეკა საყვარელიძემ ყოველგვარი კანონიერების საფუძველების გარეშე განახორციელა, მათ შორის არც გენეროკურორის მოვალეობის შემსრულებლის, გუზირისთვის უცნობებია, არამედ ოპერაცია ჩატარა მხოლოდ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომ ვილაცას სურდა ქრთამის სახით კორნიცას შემწეობით 200 ათასი დოლარი გადაეხადა კონკრეტული საქმის დასახურად. ინფორმაციის თანახმად, საყვარელიძემ მიმართა ქოვენილი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს ვასილი გრიცაკს, რომელმაც მას ოპერაციისთვის სპეცდანიშნულების რაზმ "ალფას" მებრძოლები გამოუყო. "კაბინეტების ჩხრეკისას ვერავითარი ქრთამი ვერ აღმოაჩინეს", - წერს პურნალისტი.

# ორი მკვლელობის ერთი საიდუმლო



“ყველაფერს თავისი დრო აქვს ცხოვრებაში, ყველაფერი წარმავალია. ეს ეტაპიც უნდა დამთავრებულიყო ჩემს ცხოვრებაში... სამომავლოდ კონკრეტული გეგმები არა მაქვს, ვიცი, ცხოვრება სავსეა წინააღმდეგობებით, მათ მზად უნდა შეხვდეთ ამისთვის ვემზადები, ვემზადები ჩემს თავზე და მთვარეზე გაფრენას სულაც არ ვაპირებ”.

### დუღუ დადიანის დღიურებიდან

“მაშინ მოდაში იყო დუღუსთან ძმა-ცოცობა, სადმე, მნიშვნელობა არა აქვს - ქუჩაში, დუღუსთან კაბინეტში თუ სხვაგანაც - თუ დაინახავდნენ, ყველანიარად ცდილობდნენ მისაღებობდნენ, იმიტომ, რომ ამას სხვაც დაინახავდა და რადგან დუღუს მთელი ქალაქი იცნობდა, ყველაფერი მშვენიერად იყო”.

### ზურა თალაკვაძე

“გავიგე, რომ მას (კახი ასათიანს - ავტ.) პრობლემები ჰქონდა საავიაციო ბიზნესში, თუმცა დაწერილებით არაფერი ვიცოდი, რადგან დიდი ხანია არ მინახავს. როგორც ჩანს, თავისი პრობლემებით არ უნდოდა შევეჭვებინე არც მე და არც ხელისუფლების სხვა წევრები. კახის რომ ჩემთვის მოემართა, საქმე მკვლელობამდე არ მივიდოდა”.

### ელზარ შამგარდნაძე, 2002 წლის 21 ნოემბერი

2002 წლის 20 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, კახი ასათიანის მანქანა ვაკეში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე, პარლამენტარ ნანა ბიჭიაშვილის (ასათიანის ცოლის და) სახლთან გაჩერდა. მძღოლი მანქანიდან ბიჭიაშვილების ოჯახისთვის მოსაწვევების გადასაცემად გადავიდა, რამდენიმე წუთში მანქანაში დარჩენილ კახი ასათიანს უცნობი ახალგაზრდა მიუახლოვდა და მაყუჩიანი ავტომობილი ცეცხლსასროლი იარაღით ცეცხლი გაუხსნა. 16 ტყვიიდან მსხვერპლს მხოლოდ 7 მოხვდა. ასათიანი მაშინვე გარდაიცვალა.

მკვლელები აუჩქარებლად ჩაჯდა იქვე მდგომ BMW -ს მარკის ავტომანქანაში და მიიძალა...

მკვლელობას ბევრი შეესწრო - გასროლამდე წუთით ადრე გზის მოპირდაპირე მხარეს სამარშრუტო ტაქსი გაჩერდა, საიდანაც მგზავრები ჩამოვიდნენ.

დაახლოებით ერთ საათში შემთხვევის ადგილზე პოლიციის გაძლიერებული შემადგენლობა და სპეცდანიშნულების რაზმი, ასევე სახელმწიფო მინისტრი ავთო ჯორ-

ბენაძე მივიდნენ. ამ დროისთვის პოლიციას უკვე ჰქონდა მკვლელების აღწერილობა.

თვითმხილველები ამბობდნენ, რომ მკვლელები ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა იყო. დადგინდა, რომ ავტომანქანა, რომლითაც მკვლელები მოძრაობდა, სავარაუდოდ, გატაცებული იყო. პოლიციამ გადააკტა თბილისიდან გასასვლელი გზები და ავტომანქანის ძებნა დაიწყო, მაგრამ ამოღდა...

მეორე დღეს საქართველოს გენერალური პროკურატურა საზოგადოებას არწმუნებდა, რომ სამართალდამცავებმა სავარაუდოდ მკვლელების ვინაობა იცოდნენ და მისი დაკავება მხოლოდ დროის საკითხი იყო. მას შემდეგ უკვე 10 წელია, საზოგადოება პროკურატურისგან ასათიანის მკვლელების ვინაობის გამხელას ელოდება...

კახი ასათიანის მკვლელობას საქართველოში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ცნობილი ფეხბურთელი, 1990-2000 წლებში საქართველოს სპორტისა და ტურისტების დეპარტამენტის თავმჯდომარე, დიდი პატივისცემითა და გავლენით სარგებლობდა სახელისუფლებო და ბიზნესწრეებში, ამიტომ მისი მოკვლა ცოტას თუ შეეძლო. როგორც მაშინ საქმეში ჩახედულნი ამბობდნენ, - ამას იმ დროს მხოლოდ თავზე ხელაღებული თუ ჩაიდენდა.

მაშინ ბევრს დააბრალებდნენ მკვლელობის მოტივებზე.

კახი ასათიანის მკვლელობას გამოიძიებდა ოფიციალურ ვერსიად ბიზნესინტერესებს უკავშირებდა. სპორტის დეპარტამენტიდან წასვლის შემდეგ კახი ასათიანმა ავიაკომპანია “აირზენას” აქციების დიდი ნაწილი შეისყიდა. იმ პერიოდში კომპანიას მიმე ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა, “აირზენას” კუთვნილი თანხები რომ დაებრუნებინა, კახი ასათიანი ხმაურთან გარჩევებსაც არ ერიდებოდა; გარდა ამისა, ის ფირმა “მერსედისის” წარმომადგენელი იყო საქართველოში.

იმხანად ავიაბიზნესი მსუყვე ლუკმად ითვლებოდა და ბიზნესწრეების გარდა, კრიმინალური ავტორიტეტების ყურადღებასაც იქცევდა (ყველასთვის ცნობილი კანონიერი ქურდის, ტარიელ ონიანის ინტერესი თბილისის აეროპორტსა და ავიაკომპანია “ორბში”). ამბობდნენ, რომ ონიანმა თვალის “აირზენასაც” დაადგა და ყველა ხერხით ცდილობს მის ხელში ჩაგდებას.

ასათიანის მკვლელობამდე ერთი წლით ადრე, დაუდგენელმა პირებმა, “აირზენას” გენერალური დირექტორის, თამაზ გაიაშვილის მოკვლა სცადეს - 2001 წლის 29 ოქტომბერს, ღამის 23.30 საათზე, აეროპორტის დასახლებაში, 39-ე კორპუსის სადარბაზოსთან გაიაშვილის მანქანას სამი ტყვია ესროლეს, აქედან ორი - საკონტროლო.

გაიაშვილი მხოლოდ იმიტომ გადაურჩა სიკვდილს, რომ მანქანაში არ იყო. კილერის მსხვერპლი შეცდომით მისი დისწული, 27 წლის დათო ბახტაძე გახდა, რომელიც ბიძის მაგივრად მართავდა სატეკს.

2002 წლის 21 ნოემბერს (ასათიანის მკვლელობის მეორე დღეს) მოსკოვში, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა, ხმადაღლილ განცხადება გააკეთა და ასათიანის მკვლელობაში პრეზიდენტ შევარდნაძის უახლოეს გარემოცვაზე მიანიშნა (საუბარია შევარდნაძის მძახალ გურამ ახვლედიანის ოჯახზე). გარდა ამისა, კიტოვანი აცხადებდა, რომ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, ბადრი პატარკაციშვილი და ვანო ჩხარტიშვილი კახი ასათიანს ელაპარაკნენ “აირზენას” საკონტროლო პაკეტის შესყიდვის თაობაზე, რაზეც ასათიანი თანახმა არ იყო. მან შევარდნაძესაც სთხოვა, ჩარეულიყო ამ საქმეში და პრობლემები მოგვარებაში დახმარებოდა, თუმცა ამ ფაქტს შევარდნაძე რატომღაც მალავს...

თუმცა თამაზ გაიაშვილი კახი ასათიანის მკვლელობის მოტივად “აირზენაში” დაპირისპირებას აბსურდულად მიიჩნევს. “კახი ასათიანის მკვლელობა “აირზენას” არ უკავშირდება, მას სხვა ბიზნესიც ჰქონდა, იქნებ იმათ დაუსვანთ კითხვები, ვისაც ქართული ფეხბურთისა და “მერსედისის” ხელში ჩაგდება სურდა, საერთოდ, მკვლელობის ვერსიებზე პროკურატურამ უნდა იმუშაოს... კარგი იქნება, თუ ელზარდ შევარდნაძესაც ჰკითხავთ რამეს”.

### თამაზ ბაიაშვილი, 2007 წელი

როგორც საქმეში ჩახედულნი ამბობდნენ, გაიაშვილი ბადრი პატარკაციშვილის ინტერესებზე მიანიშნებდა, უნდა ითქვას, რომ “გარდების რეჟოლუციის” შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლება დიდხანს ცდილობდა ასათიანის მკვლელობა პატარკაციშვილისთვის დაეკავშირებინა (თუმცა 2002 წელს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი ცნობილი ფეხბურთელის მკვლელობაში ბრალს მხოლოდ შევარდნაძეს სდებდა).

2003 წლის 29 იანვარს კახი ასათიანის მეუღლე, ლეოზა თავართქილაძემ განაცხადა, თუ გამოიძიება ორ კვირაში არ გადადგამდა ქმედით ნაბიჯებს, ის თავად დაასახელებდა მისი ქმრის მკვლელებს, მაგრამ ამოღდა.

ასათიანების ოჯახი დღემდე კახის მკვლელობის მოტივად ბიზნესინტერესებს ასახელებს, რომლის უკან ასათიანის ყოფილი პარტნიორები დგანან.

გარდა ოფიციალური ვერსიისა, საზოგადოება მხარს უჭერს ასათიანის



მკვლელობის მოტივის კიდევ ერთ ვერსიას, რომელიც შურისძიებას უკავშირდება - მაშინ სამართალდამცავები პირად საუბრებში ამბობდნენ, რომ ასათიანის მკვლელობა შეკვეთილი არ იყო, და არც მკვლელები გახლდათ პროფესიონალი (მან მსხვერპლს ესროლა ძალიან ახლო მანძილიდან და 16 გასროლიდან მხოლოდ 7 მოახვედრა, თანაც, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტს თვითმხილველები ჰყავდა, მიმაღლა არ უჩქარია, რაც პროფესიონალ მკვლელებს ნამდვილად არ ახასიათებთ). გარდა ამისა, მკვლელები გატაცებული მანქანით მთელი დღე უკან დაჰყვებოდა ასათიანის მანქანას სოლოისთვის ხელსაყრელი დროის მოლოდინში. ამგვარი რისიკი კი მხოლოდ შურისმაძიებელ ადამიანს თუ შეეძლო...

2002 წლის 22 იანვარს თბილისში კიდევ ერთ მკვლელობა მოხდა, იმ დღეს დუღუ (დავით) დადიანი მოკლეს.

22 იანვარს, დღის 12 საათზე, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, დუღუ დადიანი, ფედერაციის ახალარჩეულ პრეზიდენტთან, ბესო ლიპარტელიანთან შესახვედრად ფიზკულ-

ტურის ინსტიტუტში მივიდა.

“კალათბურთის წესდება უნდა შეგვედგინა. დუღუმ წინა დღით მითხრა, ხვალ ჩემი წინადადებით მოვალე. მთელი დამე გაუთენებია, შეხვედრაზე ფედერაციის პრობლემებზეც ვაპირებდით საუბარს. დუღუმ დამირეკა და მითხრა, - 12 საათზე შეგხვდეთო. ბოლო ზარი მის ტელეფონზე ისევ ჩემგან იყო. მანქანა რომ არ გამფუჭებოდა, იქნებ ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო...”

ბესო ლიპარტელიანი - მკვლელები დუღუ დადიანს კიბეზე დახვდა, სავარაუდოდ, ის დადიანს იცნობდა, რადგან მკვლელობამდე მათ შელაპარაკებაც მოუვიდათ. მკვლელებმა მაკაროის სისტემის პისტოლეტი ოთხჯერ ისროლა, სამი ტყვია დუღუ დადიანს ხელში მოხვდა (როგორც ჩანს, ხელი მკერდზე ჰქონდა აფარებული), მეოთხე კი გულმკერდში.

მკვლელები შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. მეგობრებმა დაჭრილი დადიანი სწორედ კიბეზე იპოვეს.

სასწრაფო დახმარების მანქანამ 15 წუთი დაიგვიანა, მიიმედ დაჭრილმა დუღუ დადიანმა კი მხოლოდ 20 წუთი იცოცხლა. შემთხვევის ადგილზე პოლიცია მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მივიდა.

მკვლელობის ადგილზე ამოღებული იქნა ჰეკლერ-კოხის პისტოლეტი, რომლისგანაც მკვლელებმა ვერ ისროლა და ქუდი, რომელიც სინქარეში კიბეზე დაუვარდა.

თვითმხილველები ამბობდნენ, რომ მკვლელები სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი იყო, რომელიც შენობაში შესვლიდან 5 წუთში გამოვიდა და გაიქცა... მკვლელობას ჰყავდა ერთი თვითმხილველი, რომელიც მოგვიანებით კიკვიძის ბაღში მოკლეს...

მკვლელობის რამდენიმე დღეში გახსნას ელოდა მთელი საქართველო, თუმცა...

“ფიქრობ, რომ არის ვიღაც გაუგებნიანი პირი, რომელიც ყველაფერს ნაბიჯ-ნაბიჯ აფერხებდა, სასწრაფო დახმარების მკვლელობის ადგილზე დროულად მისვლასაც კი, რათა დუღუს გადარჩენა შეუძლებელი ყოფილიყო.”

პოლიციაც კი ყველაზე გვიან მოვიდა... რომ მოენდომებინათ, საქმის გახსნა არ გაუჭირდებოდათ, მით უმეტეს, რომ მკვლელობას ჰყავდა მოწმეები და მკვლელებს დანაშაულის ადგილზე ქუდი დაუვარდა, რომელიც ექსპერტიზაზე წაიდგინა... ამიტომ ვეტყვობ, რომ დუღუს მკვლელობის საქმეში ვიღაც მაღალჩინოსნის ხელი ურევია”.

რობერტ დადიანი, დუღუ დადიანის მამა, 2012 წელი - იმხანად დადიანის მკვლელობის მოტივის ვერსია გამოიძიებასაც არ ჰქონდა, იყო მხოლოდ მინიშნება, რომ დადიანის მკვლელობა, შესაძლოა, ასათიანების ოჯახს უკავშირდებოდა... ამიტომაც 20 ნოემბერს კახი ასათიანის მკვლელობას დადიანის მეგობრების შურისძიებად მიიჩნევდნენ.

2010 წელს პროკურატურამ განაახლა დუღუ დადიანის საქმის გამოძიება და 10 ივლისს რატომღაც დააკავს საქმის პირველი გამოძიებელი, ზვიად უზნაძე. ბრალად წაუყენეს ნივთმტკიცებულების გაყალბება (ქუდი, რომელიც მკვლელებს დაუვარდა შეცვლილი იყო სხვა ქუდით). სამართალდამცავებმა დუღუს მამა, ლევანიც დაიბარეს. გამოიძიება ცდილობდა, ლევან დადიანს მისი მკვლელობაში ეჭვმიტანილად, სავარაუდოდ, ვატო ყიფიანი დაესახელებინა, რაზეც უარი მიიღო. რამდენიმე ხანში ლევან დადიანს სამართალდამცავებმა შარვლის ჯიბეში 0.6 გ. მეტადონი “ადმოზინეს” და დააკავეს. საბოლოოდ, 14 წელი მიუსაჯეს... როგორც ამბობენ, სამართალდამცავები კახი ასათიანის ქვრივსაც სთხოვდნენ ვატო ყიფიანისთვის დაელო ხელი, თუმცა აქაც უარი მიიღეს.

2012 წლის 30 ნოემბერს დუღუ დადიანის ოჯახმა მთავარ პროკურატურაში განცხადება შეიტანა და დუღუს საქმის ხელახლა გამოძიება მოითხოვა... მაშინ, კახი ასათიანის მკვლელობის საქმის გამოძიებას ითხოვს მისი ქალიშვილი მაკა ასათიანიც...

საზოგადოებას კი იმედი აქვს, რომ იქნებ ახლა მაინც გაცხადდეს ამ ორი მკვლელობის ერთი საიდუმლო...

**“კალათბურთის წესდება უნდა შეგვედგინა. დუღუმ წინა დღით მითხრა, ხვალ ჩემი წინადადებით მოვალე. მთელი დამე გაუთენებია, შეხვედრაზე ფედერაციის პრობლემებზეც ვაპირებდით საუბარს. დუღუმ დამირეკა და მითხრა, - 12 საათზე შეგხვდეთო. ბოლო ზარი მის ტელეფონზე ისევ ჩემგან იყო. მანქანა რომ არ გამფუჭებოდა, იქნებ ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო”**

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალალანია

ჯანო ანანიძე: ნაკალ მხოლოდ ეპროპაში, რუსეთი – გამორჩეულია



საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის "სპარტაკის" ნახევარმცველმა ჯანო ანანიძემ, რომელიც ამჟამად შეკრუბაზე სერბეთში, რუსულ გამოცემა "სოვეტ-სკი სპორტს" ინტერვიუ მისცა.

22 წლის ფეხბურთელი შურნალისტს საქართველოს ნაკრებზე, "სპარტაკზე", მუხრან იაკინზე, დიდ მანძილზე ფრენის შიშსა და თქვენ წარმოიდგინეთ, სიმღერა "სულიკოზე" ელაპარაკა.

– თქვენთვის რომელი ვარიანტი უფრო მისაღებია: "სპარტაკში" მეორეხარისხოვან რიგში ყოფნა თუ იჯარით წასვლა ისეთ გუნდში, სადაც პირველი იქნებით?

– ამჟამად "სპარტაკში" თამაში მსურს და თუკი წავალ, მხოლოდ ეპროპაში. წინადადებას რუსეთიდან არ დავთანხმდები.

– არც იჯარით და არც სამუდამოდ? – რუსეთში? არა. ან "სპარტაკი", ან ეპროპა.

– ქვეყანას აქვს მნიშვნელობა?

– რა თქმა უნდა. საფრანგეთი და იტალია არცთუ ძალიან მიზიდავს, აი, მაგალითად, ესპანეთს ან ჰოლანდიაში თამაში კი ძალიან მინდა – ანუ იქ, სადაც ლად და შემტევ ფეხბურთს თამაშობენ.

– ხელფასის ოდენობას აქვს მნიშვნელობა?

– დიდი ხელფასი არც ახლა მაქვს.

– "როსტოვში" გატარებული იჯარის შემდეგ გადაწყვიტეთ, რომ სხვა რუსულ კლუბში აღარასდროს ითამაშებთ?

– "როსტოვში" ყველაფერი ნორმალურად იყო. სათამაშო პრაქტიკა მჭირდებოდა და მე ის მიეღვა. ახლა ვიმედოვნებ, რომ "სპარტაკში" დავმკვიდრდები, მაგრამ თუკი ეს არ გამოვა, გავს ეპროპისკენ ავიღებ.

– ჩემთვის ან შევიცვარა – ეპროპაა?

– გეოგრაფიულად, კი, მაგრამ მე ამ ქვეყნების ჩემპიონატებზე არ ვფიქრობ.

– რატომ არიდებთ თავს ვიდუინტერვიუს?

– არ ვიცი, უბრალოდ, რადიკალიზაციის დისკომფორტს მიქმნის.

– საერთოდ, პრესასთან დიდი ხანია ურთიერთობთ?

– კლუბის საიტისთვის მიმიცია ინტერვიუ. ქართული მედიასაშუალებებისთვისაც, როდესაც ნაკრებში ჩავსულვარ. რუსეთში დიდი ხანია, შურნალისტებთან არ მისაუბრია.

– უარს ეუბნებოდით?

– მხოლოდ გადადებაზე, თორემ ისე უარი არავისთვის მითქვამს. უბრალოდ, არ მოუმართავთ.

– ოთხი წლის წინ, "სპარტაკის" ავსტრიულ შეკრებაზე ყოფნის დროს ამბობდით, რომ მარცხენა ფეხის გაგარჯიშება გჭირდებოდათ. გააგარჯიშეთ?

– სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც არა. რა თქმა უნდა, 2011 წელთან შედარება არაა, ბურთის მიღებას და დამუშავებას ვახერხებ, ნაწოდება კი მიჭირს.

– მარცხენი საჯარიმოს დაარტყამთ?

– დაახლოებით 30 მეტრზე პასს კი გააკეთებ, თუმცა საჯარიმოსა და კუთხურის მოწოდება მარჯვენით მიჯობს.

– შეკრებაზე შიროკოვთან შეწყვილებულს ვიწვეთ თამაში...

– ძალიან მიყვარს ასეთი ფეხბურთელები. ჩემი აზრით, ის რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ნახევარმცველია. ბურთი მიღებული არ აქვს უკვე ფიქრობს, რა უნდა ქნას! ნებისმიერ პასს მოგცემს.

– ძველგურად მიიწვეთ მოედნის ცენტრისკენ?

– ახლა უფრო მარცხენა ფრთაზე ყოფნა მსიბღავს.

– მარჯვენა "მუშა" ფეხით?

– ფლანგიდან ცენტრისკენ შეგიძლია წაიწიო და პასით შეტევა გაამწვავო. მეორე, დღეს მოვლენ მსოფლიო ასე თამაშობს, გარდა ინგლისელებისა – ცაციები მარჯვენა ფლანგზე, შემარჯვენეები – მარცხენაზე.

– ყოველთვის მოგწონდათ ნომერი "7". ითამაშებთ ამ ნომერით?

– მე ის კომბაროვს დავუბრუნებ, თავად კი 49-ნომრიანი მისურთ ვითამაშებ.

– იმიტომ, რომ 49 არის 7X7?

– ამიტომაც. უბრალოდ, მომწონს ეს რიცხვი. მაგალითად, 77 არ მინდა, მასზე უარი ვთქვი. 49 მირჩევნია.

– მართლა იმალელოდით ბაზაზე კარადაში, რათა კომსომოლსკიში სათასო მატჩზე არ გამგზავრებულიყავით?

– არა, რა თქმა უნდა. ტრავმა მქონდა, მაგრამ არ დამიჯერეს. ამ ამბის გახსენება აღარ მსურს – გუნდს უკვე მოვუბოდიშე. ასეთი რამ აღარ განმეორდება.

– ყველაზე ხანგრძლივი ფრენა ცხორებაში როდის გქონიათ?

– როდესაც საქართველოს ნაკრები დუბლინში მიემგზავრებოდა. დაახლოებით 7 საათი ვიფრინეთ.

– "სპარტაკს" რომ კიდევ შეხვდეს მეტოქედ შორეული აღმოსავლეთის გუნდი...

– რა თქმა უნდა, გაფრინდები. თუმცა თვითმფრინავით მგზავრობა არ მიყვარს.

– რა უფრო გზარავთ, აფრენა თუ დაშვება?

– აფრენა. ერთხელ ნაკრებთან ერთად შოტლანდიისკენ მიფრინავდი. ნახევარი საათის შემდეგ გზიდან მოვებრუნდი და თბილისში დავეშვი. აღმოჩნდა, რომ პილოტის კაბინაში ფანჯრის მინა იყო გაბზარული. ალბათ, კაბინაში რაღაც მოხდა. მას შემდეგ გადაფრენები არ მიყვარს.

– რით დაგამახსოვრდათ "როსტოვში" იჯარით გატარებული პერიოდი?

– იმით, რომ საცობებში არ მიწვევდა ყოფნა. ბაზა ქალაქის ცენტრშია და იქამდე ყოველთვის სწრაფად ვაღწევდი. სხვაც ყველაფერი ნორმალურად იყო – ვთამაშობდი, ვმეგობრობდი ნიკოლითან, მილითან, ლოგანოვთან. ვიცინოდი მიოდრავ ბოკოვიჩის ხუმრობებზე.

– სქესთა შორის ურთიერთობაზე?

– უმეტესად ამ თემაზე.

– ოთხი წლის წინ მეგობარი გოგონა არ გყავდათ, ახლა რა ხდება?

– მყავს მუდღე და ქალიშვილი მია. დრო სწრაფად გარბის.

– საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ყოფილი ფეხბურთელი კახა კალაძე ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის იღვწის?

– მას უშუალოდ მოვალეობები მრავლად აქვს, საფეხბურთო საკითხებით სხვები არიან დაკავებულინი.

– ინტერნეტში კახას ფოტო გავრცელდა,

სადაც ის თბილისში წყალდიდობის შედეგებს ებრძვის...

– დიდი ტრავმა დატრიალდა და საქმეში ყველა ჩაერთო, რითაც შექმლდა.

– სტიქიამ თქვენი ახლობლებიც ხომ არ დააზარალა?

– საბედნიეროდ, არა. ნიაღვარი დღისით რომ წამოსულიყო, მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა. იქ ვიწრო გზა გადის, ყოველთვის საცობია. წყალი დამის პირველ საათზე მოვარდა. წალეკა ზოოპარკი...

– რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოს ნაკრები?

– თითქმის იმავე დონეზეა. არიან ახალგაზრდები, გუნდი ძირითადად დანიაში, ჩეხეთში, იტალიასა და რუსეთში მოთამაშე ქართველი ლეგიონერებისგან შედგება.

ახალი მწვერთელი გვეყავს – კახა ცხადაძე, ახალი ფილოსოფი. თუკი თქურ ქეცბაია ვეთხოვდა: "ითამაშეთ ნულზე", კახა გვეუბნება: "სჯობს გავუშვათ, მაგრამ წვენც გავიტანოთ".

ახლა უფრო ვუტევთ, უწინ კი დაცვიდან ვმოქმედებდით. დასანანი იყო, როდესაც პოლონეთთან მატჩში ბოლო წუთებზე სამი გოლი გავუშვი. არადა, მანამდე თითქმის ტოლ-სწორად ვეთამაშებოდი.

– გამოდის, ცხადდება და აღენიჩევს ("სპარტაკის" ახალი მწვერთელი) ერთნაირი მოთხოვნები აქვთ?

– გეთანხმებით. იაკინის დროს "სპარტაკი" ჩემთვის ძალიან უცხო ფეხბურთს თამაშობდა. გრძელი პასი, გადმოვარდნილ ბურთზე ბრძოლა... ახლა კი თავს სულ სხვანაირად ვგრძნობ, ჩემთვის მოსახერხებელ ფეხბურთს ვთამაშობთ - დაბალი, სწრაფი პასით. ბოლოს და ბოლოს, ვგრძნობ, რომ ნამდვილად "სპარტაკში" ვარ.

– საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ბევრი ხალხი დადის?

– მაქსიმუმ, ორი-სამი ათასი. სამაგიეროდ, "ბარსელონა"-ს სევილიის" სუპერთასის მატჩზე, რომელიც თბილისში გაიმართება, ბილეთებს ვეღარ იშოვი.

– პირადი კითხვა: რაზეა სიმღერა "სულიკო"?

– ო, უნდა მოვესმინო...

– ნუთუ არ იცით?

– მისამღერე ვიცი, მაგრამ სჯობს, მოვლინად მოვისმინო და მომდევნო ინტერვიუს დროს გაიმბობთ.

გამოვიდა სერბი კრემლიოვის ნიბნ "ლავრენტი ბერიკა – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერბი კრემლიოვის წიგნისა "ბერიკა – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენბელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კამპანია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენლები არიან როლანდ ჯალალანია და ნუზარ გოგუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

იუმორი

– მაშიკო, მეგობარს რომ უჭირდეს, ხომ უნდა დაეხმარო? – კი შეიძლება, მაგრამ შენც რაღა გაჭირვებულს უმეგობრდები? \* \* \* რა საშინელება იქნება მორხეს ანბანი ჩინურად?! \* \* \* – რატომ არის ეს მინისტრი ასე იდოტად გამოყვანილი, რის თქმა უნდა ამით რეჟისორს? – კაცო, ეს ფილმი კი არ არის, ახალი გადაცემაა, პირდაპირ ეთერში... \* \* \* ერთ სამსახურში პროგრამისტს დეპულოდნენ. ანკეტის შეესებისას გრაფაში "ბავშვები" მან ჩაწერა 6/9. ჩავარდა კადრები საგონებელში, ბევრი იფიქრეს, რა ვერსიები არ წამოაყენეს – 6 ბიჭი და 9 გოგო ყავსო, ბავშვები 6-დან 9 წლამდე, 6 ცოლი და ცხრა ბავშვი... ბოლოს კითხეს: – რას ნიშნავს 6/9 ბავშვი? განსაცვიფრებელი პასუხი: – ცოლი მეექვსე თვეშია.

Advertisement for 'სახალხო მკურნალობა' (Folk Remedies) featuring a book cover and contact information for the publisher 'ილორი'.